



# ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმე

მოვლენათა ქრონოლოგია





## ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი:  
რედაქტორი:

ლაზარე ჭიბლაძე  
ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

2020

# სარჩევი

წინათქმა .....	4
რა მოხდა 2017 წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე .....	5
პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და საქმეში არსებული დარღვევები .....	7
მირგა სუბელიანი და მისი გავლენა სისხლის სამართლის საქმის გამომძიებაზე.....	9
სასამართლო დარბაზიდან ქუჩაში, მთავარი პროკურორის გადადგომა .....	13
„ნუ მომკლავ!“ და სხვა საპროტესტო აქციები.....	14
პარლამენტის დროებითი საგამომძიებო კომისიის საქმიანობა .....	17
პარლამენტის დროებითი საგამომძიებო კომისიის ორი დასკვნა .....	21
ზაზა სარალიძის ერთპაციანი აქცია პროკურატურასთან .....	24
ჩემამების მართლისთვის .....	24
ბრძოლა კარვებისთვის .....	25
„კარვებით ვიცავთ თავისუფლებას!“ .....	26
სახალხო დამცველის დასკვნა .....	27
გემდგომი ინსტანციის სასამართლოები .....	27
მიხეილ კალანდიას ეპიზოდი .....	28
სახელმწიფოს უმთქმედობა სამოხელეო დანაშაულების მიმართ .....	29
დასკვნა .....	31

## წინათქმა

2017 წლის 1 დეკემბერს, თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოკლული ორი მოზარდის საქმის ხარვეზიანმა გამოძიებამ და თანმდევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გააშიშვლა ქართულ მართლმსაჯულებაში არსებული მრავალი პრობლემა და საზოგადოებისთვის ნათელი გახადა არსებული სისტემური პრობლემების მთელი სიმწვავე.

ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმე თავიდანვე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობდა. ამას „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ (CRRC) 2017 წლის კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომლის თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას - 96%-ს ამ ტრაგედიის შესახებ სმენია<sup>1</sup>.

სწორედ საზოგადოებრივი ემპათიისა და დაზარალებული ოჯახებისადმი სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოჩენილი თანადგომის შედეგად, ხელისუფლებას მრავალ მწვავე კითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა, რადგან ამ დანაშაულის დაფარვასა თუ სხვა სამოხელეო დანაშაულებში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები.

წინამდებარე დოკუმენტით ადამიანის უფლებათა ცენტრი ცდილობს, ქრონოლოგიურად წარმოაჩინოს ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის ირგვლივ განვითარებული ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი თუ პოლიტიკური მოვლენა. დოკუმენტში შეფასებულია საგამოძიებო უწყებების მიერ გამოძიების ეტაპზე დაშვებული არაერთი შეცდომა თუ სავარაუდო დანაშაული, საქმესთან დაკავშირებული პოლიტიკური მოვლენები, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობა და ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა, მართლმსაჯულების ხარვეზები და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ცენტრი საგამოძიებო ეტაპიდან იცავდა დაზარალებულის, კერძოდ - ერთ-ერთი მოკლული მოზარდის, დავით სარალიძის ოჯახის ინტერესებს. ამდენად, მთელი რიგი ინფორმაცია ანგარიშში უშუალოდ მოვლენათა შუაგულიდან, სხვადასხვა პირველწყაროდან არის მოპოვებული და გაანალიზებული.

<sup>1</sup> ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3fu4LOe>

## რა მოხდა 2017 წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე

ხორავას ქუჩის ტრაგედიის სახელით ცნობილი სისხლიანი კონფლიქტი 2017 წლის 1 დეკემბრის დილას დაიწყო თბილისის 51-ე საჯარო სკოლის საპირფარეოში, სადაც თავდაპირველად სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, ერთი მხრივ, ამ სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებს - დ.ნ.-სა და დაჩი ლლონტს, მეორე მხრივ კი - მე-9 კლასის მოსწავლეებს - თ.ჩ.-სა და ა.ს.-ს (პროკურატურის მაღალჩინოსნის, მირზა სუბელიანის შვილს) შორის. მირზა სუბელიანი, ამავე დროს, ამ საქმესთან დაკავშირებული კიდევ ერთი მოზარდის - მიხეილ კალანდიას ბიძაა. მკვლელობების დღეს სუბელიანი პროკურატურაში ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში იგი თანამდებობიდან გადადგა<sup>2</sup>.

ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის სისხლიანი დაპირისპირების შედეგად, ადგილზე დაიღუპა 16 წლის ლევან დალუნაშვილი, ხოლო დავით სარალიძე მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა<sup>3</sup>.

ხორავას ქუჩის მკვლელობის საქმეში არსებული მტკიცებულებები თავიდანვე აჩენდა ეჭვებს დანაშაულში სხვა პირების მონაწილეობაზე. მოკლული დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე იმთავითვე აცხადებდა, რომ მირზა სუბელიანი მკვლელობაში მონაწილეებს მფარველობდა, თავად მირზა სუბელიანს კი, ხელისუფლება აფარებდა ხელს.

საგამოძიებო უწყებაში მიცემული ჩვენებების მიხედვით, უფროსკლასელი მოსწავლეებს პნევმატურ იარაღს უშვერდა და აშინებდა. მეცხრეკლასელმა ა.ს.-მ დახმარებისთვის ნათესავს - მიხეილ კალანდიას დაურეკა, რომელმაც 51-ე სკოლასთან მეგობრები მიიყვანა, სადაც მათ ა.ს. და თ.ჩ. შეუერთდნენ. მათ ადგილზე დახვდნენ დაპირისპირებული უფროსკლასელები<sup>4</sup>, რის შემდეგაც სკოლის მიმდებარედ, აკაკი ხორავას ქუჩის 4 ნომერში არსებული კორპუსის ეზოში გადაინაცვლეს. აქ გიორგი ჯანაშიასა და დავით სარალიძეს შორის დაწყებული სიტყვიერი შელაპარაკება სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც ორი მოზარდის მკვლელობით დასრულდა<sup>5</sup>.

2017 წლის 2 დეკემბერს, შსს-მ მკვლელობაში ბრალდებული მოზარდი, გუგა ბარბაქაძე დააკავა, ხოლო მკვლელობიდან მეოთხე დღეს, მკვლელობაში ბრალდებული კიდევ ერთი მოზარდი - გიორგი ჯანაშია პოლიციას თავად ჩაბარდა. შსს-ს ინფორმაციით, სისხლიანი კონფლიქტის პირველ დღეებში საგამოძიებო ორგანოში დაბარებული 150-მდე ადამიანიდან გამოძიებასთან მხოლოდ რამდენიმემ ითანამშრომლა.

გამოძიების დაწყებიდან მე-4 დღეს პროკურატურამ დანაშაულის დაფარვაში ბრალი ხუთ პირს წაუყენა. მათგან სამი იყო კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეთა მშობელი და მათ მიმართ სასამართლომ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა<sup>6</sup>. მეოთხე - 21 წლამდე ბრალდებულს სასამართლომ გირაო, ხოლო ერთ არასრულწლოვანს მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა დაუნიშნა<sup>7</sup>.

<sup>2</sup> ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2QNVaHq>

<sup>3</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა: <https://bit.ly/33Pcls1>

<sup>4</sup> ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2JiFXKf>

<sup>5</sup> ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3aAd8oR>

<sup>6</sup> ინფორმაცია ვრცლად: <http://go.on.ge/j8b>

<sup>7</sup> ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3bwJlxm>

ამავე დღეს იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი დადგენილი და დაკავებულია<sup>8</sup>. ხოლო ერთი კვირის თავზე პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ შსს-მ ეფექტურად იმუშავა პროკურატურასთან ერთად და ყველას გაუქრა ეჭვი, რომ შეიძლებოდა, ვინმე ამ ტრაგედიის შემდეგ დაუსჯელი დარჩენილიყო<sup>9</sup>.

2018 წლის აგვისტოში თბილისის საქალაქო სასამართლომ დანაშაულის დაფარვაში ბრალდებულ სამივე სრულწლოვან პირს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა გირაოთი შეუცვალა. მოსამართლე გიორგი დარახველიძის გადაწყვეტილებით<sup>10</sup>, თენგიზ კალანდიას 5000-ლარიანი, ხოლო კიდევ ორ ბრალდებულს 3000-3000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

გაუმჭვირვალობისადმი ეჭვებს აღრმავებდა პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიება, რომლის ყოფილი მაღალჩინოსნები საქმესთან დაკავშირებულ მოქმედებებში ფიგურირებდნენ. 2018 წლის 15 მაისს (თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე რამდენიმე კვირით ადრე) ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა სათვალთვალო კამერის ჩანაწერი გაავრცელა<sup>11</sup>, სადაც ჩანს, რომ მირზა სუბელიანი მკვლელობების დღეს ინციდენტის ერთ-ერთ მონაწილესთან, მის ახლო ნათესავ მიხეილ კალანდიასთან სახლში იმყოფებოდა და დანაშაულთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნივთმტკიცებებთან ჰქონდა წვდომა. გავრცელებული კადრებით ჩანს, რომ ოჯახი, სადაც მირზა სუბელიანი იყო მისული, სავარაუდოდ, აღნიშნულ ნივთმტკიცებებს ანადგურებდა<sup>12</sup>.

ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის, დავით სარალიძის მამის, ზაზა სარალიძის თხოვნით, საქმეში დაზარალებული ოჯახის ადვოკატად აქტიურად ჩაერთო ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი ნესტან ლონდარიძე, რომელიც დღემდე იცავს დაზარალებულის ინტერესებს. ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო განხილვა დახურულ რეჟიმში წარიმართა. მსგავს სასამართლო პროცესზე დასწრების ნებართვა აქვთ მხოლოდ მხარეებსა და მათ ადვოკატებს. დაზარალებულ ზაზა სარალიძეს თავიდანვე ჰქონდა უფლება, დასწრებოდა დახურულ სასამართლო განხილვებს, მაგრამ მისთვის ბევრი სამართლებრივი საკითხი ბუნდოვანი რჩებოდა და საჭიროებდა იურიდიულ დახმარებას. ამის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა, ნესტან ლონდარიძემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, სხდომებს დასწრებოდა დაზარალებულის ადვოკატის სტატუსით. სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ცენტრის იურისტს უფლება მიეცა, დაზარალებულთან ერთად დასწრებოდა სასამართლო სხდომებს<sup>13</sup>.

<sup>8</sup> იხ. გიორგი გახარიას განცხადება: <http://go.on.ge/j5o>

<sup>9</sup> იხ. გიორგი კვირიკაშვილის განცხადება: <https://itv.ge/news/giorgi-kvirikashvili-chven-unda-mivighot-zomebi-rata-skola-da-misi-teritoria-daculi-iyos/>

<sup>10</sup> იწვთრებაში ვრცლად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/29421835.html>

<sup>11</sup> იხ. დეიტალურად: <http://rustavi2.ge/ka/news/104435>

<sup>12</sup> იხ. ვრცლად: <http://rustavi2.ge/ka/news/104435>

<sup>13</sup> იხ. ვრცლად: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19511&lang=geo>

## პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და საქმეში არსებული დარღვევები

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 22 იანვარს დაიწყო.

სასამართლოზე, სახელმწიფო ბრალდების ოფიციალური პოზიციით, 2017 წლის 1 დეკემბერს, მოზარდებს შორის ხორავას ქუჩაზე მომხდარი ჩხუბისას, ბრალდებულებმა გუგა ბარბაქაძემ და გიორგი ჯანაშიამ ჯგუფურად, დანების გამოყენებით, განზრახ მოკლეს დავით სარალიძე, ხოლო მეორე მოზარდი, ლევან დადუნაშვილი მოკლა ბრალდებულმა გუგა ბარბაქაძემ. პროკურატურის მტკიცებით, საქმეში დანაშაულის ჩადენისთვის გამოყენებული მხოლოდ ორი დანა ფიგურირებდა, რომლებიც ამოღებულ იქნა საგამოძიებო მოქმედებებისას, ჩაუტარდა შესაბამისი კვლევები და წარედგინა სასამართლოს. მათი მტკიცებით, მკვლელობა მხოლოდ ამ ორი ცივი იარაღის გამოყენებით იყო ჩადენილი.

დაცვის მხარე, ისევე როგორც დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, იმთავითვე მიუთითებდნენ, რომ საქმე არ იყო სათანადოდ გამოძიებული, მრავალი დეტალი კვლავ დაუდგენელი იყო, რასაც პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირების შესაძლო დაინტერესება ერთვოდა თან.

მოკლული არასრულწლოვნის მამის, ზაზა სარალიძისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის განსაკუთრებული პროტესტი მოჰყვა ბრალდების მხარის ე.წ. ოქროს მოწმის - მიხეილ კალანდიას მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების არაერთხელ შეცვლას. მიხეილ კალანდიამ ჩვენება ხუთჯერ შეცვალა, სამჯერ - გამოძიების, ხოლო ორჯერ სასამართლო ეტაპზე, ფიცის ქვეშ. მოწმე თავდაპირველ ჩვენებაში ამბობდა, რომ ბრალდებულ არასრულწლოვნებს ჩხუბისას დანა არ ჰქონდათ. მომდევნო პროცესზე მან ჩვენება რადიკალურად შეცვალა, რაც გასულ პროცესზე მეგობრის დაცვის სურვილით ახსნა. ამჯერად, სასამართლო პროცესზე, მან დეტალურად აღწერა როგორც ჩხუბის პროცესი, ასევე ისიც, თუ ვინ იყენებდა დანას დაპირისპირებისას. მისივე თქმით, თავად მოგვიანებით, რამდენიმე წამით შევიდა დანაშაულის ადგილზე არსებულ ფარდულში, გასაშვებლად. მიხეილ კალანდიას მიერ შეცვლილი საბოლოო სცენარი პროკურატურის ვერსიას ემთხვეოდა, რის გამოც იგი პროკურორის მიერ „ოქროს მოწმედ“ იქნა მიჩნეული<sup>14</sup>.

უშუალოდ მოზარდებისგან მიღებული ინფორმაციის, საქმეში არსებული დარღვევებისა და მიხეილ კალანდიას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების გათვალისწინებით, დაზარალებული ზაზა სარალიძე აცხადებდა, რომ პროკურატურის ე.წ. ოქროს მოწმე სინამდვილეში, თავადაც აქტიურად მონაწილეობდა მისი შვილის - დავით სარალიძის მკვლელობაში. ამ პოზიციას იზიარებდა საქმეში დაზარალებულის ადვოკატად ჩართული ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი. ამ დროისათვის უკვე ნათელი გახდა გამოძიების პროცესზე პროკურატურის იმდროინდელი მაღალჩინოსნის, მირზა სუბელიანის ნეგატიური გავლენა, რაც კონფლიქტში მისი ვაჟის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ ყოფნითა და მიხეილ კალანდიასთან მისი ნათესაური კავშირით იყო განპირობებული. საქმის დეტალები და გამოძიების პროცესი ცალსახად მიანიშნებდა მირზა

<sup>14</sup> 0b. ვრცლად: <https://bit.ly/2WjYMnG>

სუბელიანის მიერ, საკუთარი გავლენების გამოყენებით, გამოძიებაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობასა და მისი არასწორი მიმართულებით წარმართვაზე, რაც მოგვიანებით სუბელიანის დაკავებითაც დადასტურდა.

გამოძიების გარდა, ზაზა სარალიძემ უნდობლობა გამოუცხადა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. მისი თქმით, ექსპერტიზამ პასუხი ვერ გასცა კითხვაზე, რომელი დანით ან ვინ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა მის შვილს, მას ასევე ეპარებოდა ეჭვი ბიუროს მიუკერძოებლობაში<sup>15</sup>.

დაცვის მხარის ინიციატივით, ალტერნატიული ექსპერტის მოსამზადებლად, საქმეში დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მათა ნიკოლეიშვილი ჩაერთო, რომელიც 2018 წლის 25 მაისს ხორავას ქუჩის საქმეზე სასამართლოს სხდომაზე დაიკითხა. მის მიერ გაკეთებული ალტერნატიული ექსპერტიზის თანახმად, მოზარდების სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები არა დანით, არამედ, სავარაუდოდ, მაკრატლით ან მაკრატლის მსგავსი ბასრი იარაღით იყო მიყენებული<sup>16</sup>. ამ დასკვნამ საზოგადოების ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა და გამოძიების მიუკერძოებლობა კიდევ ერთხელ დააყენა კითხვის ქვეშ.

ამის საპასუხოდ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მოტივით, 2018 წლის 29 მაისს, განაჩენის გამოცხადებამდე ორი დღით ადრე, პროკურატურამ ამ საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების ნაწილი გაასაჯაროვა<sup>17</sup>. პროკურატურის მტკიცებით, მათ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები გამორიცხვდა საქმეში დანაშაულის სხვა იარაღის არსებობას.

2018 წლის 28 მაისს, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე მომუშავე დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოკითხვაზე დაიბარეს<sup>18</sup>. გამოკითხვის შემდეგ მათა ნიკოლეიშვილმა განაცხადა, რომ პროკურორები ფხაკაძე და გუგუშვილი აგრესიულად იქცეოდნენ და მასზე ზეწოლას ახდენდნენ<sup>19</sup>.

დანაშაულის შესახებ გამოძიების ვერსია თავიდანვე მიუღებელი იყო მოკლული დავით სარალიძის მამისთვის. ზაზა სარალიძე მკვლელობაში მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობაში მიცემას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან საპროტესტო აქციების გამართვა დააანონსა. ამავე დროს, გარკვევით აღნიშნავდა, რომ დაელოდებოდა სასამართლოს განაჩენის გამოცხადებას. ყველა დამნაშავის დასჯის შემთხვევაში, იგი უარს იტყოდა დაანონსებული აქციების გამართვაზე<sup>20</sup>.

თითქმის ოთხთვიანი სასამართლო განხილვისას დაზარალებულისა და მისი ადვოკატის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, პროკურატურას გამოძიება სხვა მიმართულებით არც წარუმართავს და საკუთარი პოზიციის დაცვას ე.წ. ოქროს მოწმის გამოყენებით ცდილობდა.

პროკურატურის პოზიციით, ორივე არასრულწლოვანს ბრალი ჭგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში ედებოდა, მაგრამ მოსამართლემ, 31 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში ბრალდების მხარის ეს პოზიცია არ გაითვალისწინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკა არეშიძემ, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ამ განაჩენით, გუგა ბარბაქაძეს, რომელსაც ბრალი ლევან დალუნაშვილისა და დავით სარალიძის განზრახ მკვლელობაში

<sup>15</sup> იხ. ვრცლად: <http://www.gmtv.ge/40797-2/>

<sup>16</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2LqXHV3>

<sup>17</sup> ინფორმაცია ვრცლად: <http://go.on.ge/pla>

<sup>18</sup> იხ. ვრცლად: <https://presa.ge/?m=politics&AID=66190>

<sup>19</sup> იხ. ვრცლად: <https://presa.ge/?m=politics&AID=66190>

<sup>20</sup> იხ. ზაზა სარალიძის განცხადება: <https://bit.ly/3bouqo9>



ედებოდა, მოსამართლემ მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობის ეპიზოდში ცნო დამნაშავედ და სასჯელის სახით, 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. რაც შეეხება დავით სარალიძის მკვლელობის ეპიზოდს, გუგა ბარბაქაძე ამ ნაწილში სრულად გამართლდა. მეორე ბრალდებულს, გიორგი ჯანაშიას, რომელსაც პროკურატურა დავით სარალიძის განზრახ მკვლელობას ედავებოდა, სასამართლომ ბრალი გადაუკვალიფიცირა, სარალიძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად, 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ვინაიდან ორივე ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას არასრულწლოვანი იყო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, ორივე მსჯავრდებულს სასჯელის ვადა 1/4-ით შეუმცირდა და, საბოლოოდ, გუგა ბარბაქაძეს 10 წლითა და 6 თვის ვადით, ხოლო გიორგი ჯანაშიას 9 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, უცნობი დარჩა დავით სარალიძის მკვლელის ვინაობა, რომელიც, დიდწილად, პროკურატურის მიერ საქმესთან დაკავშირებით არჩეული არასწორი სტრატეგიისა და სათანადო მტკიცებულებათა არარსებობის შედეგი იყო.

ზაზა სარალიძის უფლებადამცველის, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის, ნესტან ლონდარიძის შეფასებით, სასამართლოს პირველი ინსტანციის განაჩენით, შეიქმნა ისეთი სურათი, როცა დავით სარალიძისთვის მიყენებული ჭრილობების ავტორი უცნობია. უცნობია იმ ჭრილობის ავტორი, რომელმაც სასიკვდილო შედეგი გამოიღო. მდგომარეობა, ამ შემთხვევაში, საერთოდ გაურკვეველია. ადამიანს აქვს 12 ჭრილობა და აქედან უმრავლესი ჭრილობა ვინ მიაყენა, უცნობია.

თავის მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ბრალდებულთა დაცვის მხარის პოზიციასაც, რომელიც ბრალდებულების უდანაშაულოდ ცნობას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებმა.

## მირზა სუბელიანი და მისი გავლენა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე

პროკურატურის მაღალჩინოსნის, მირზა სუბელიანის სახელი საზოგადოებისთვის ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობამდეც იყო ცნობილი.

სასჯელალსრულების იმდროინდელმა მინისტრმა სოზარ სუბარმა 2013 წელს მირზა სუბელიანი სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად დანიშნა. ამ ფაქტს იმ დროისათვის ექსპერტი, შემდგომ კი - სასჯელალსრულების მინისტრი, ვახა ვახიშვილი გამოეხმაურა და ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „სასჯელალსრულებაში საერთოდ კატასტროფაა. გენინსპექციის უფროსად დაინიშნა სუბელიანი, ყოფილი პროკურორი, რომლის სახელი 26 მაისის საქმეებს უკავშირდება. ის უმოწყალოდ ყრიდა ხალხს ციხეში“. სუბელიანის დანიშვნას სამინისტროში სხვა საკადრო ცვლილებაც მოჰყვა - მედიის ცნობით, სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსმა მაია ხასიამ თანამდებობა სწორედ სუბელიანთან

დაპირისპირების გამო დატოვა<sup>21</sup>. მედია ასევე, აქტიურად წერდა სუბარისა და სუბელიანის ნათესაურ კავშირებზე, რასაც სუბარი კატეგორიულად უარყოფდა<sup>22</sup>.

2013 წელს მირზა სუბელიანის სახელმა გაიჟღერა გეგუთის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოკლული 27 წლის პატიმრის, ლევან კორტავას საქმესთან დაკავშირებით, კორტავა 2013 წლის მაისში, სასტიკი ცემის შედეგად, ამავე დაწესებულებაში გარდაიცვალა. სამინისტრომ იმ დღეებში პატიმრის გარდაცვალების შესახებ ორი ვერსია გაავრცელა. პირველი ვერსიით, პატიმარი სამედიცინო დაწესებულებაში კიბეზე დაგორდა, ხოლო მეორე ვერსიით, პატიმრებს შორის დაპირისპირებისას მიიღო სასიკვდილო დაზიანებები<sup>23</sup>.

ამას გარდა, მირზა სუბელიანის სახელი ფიგურირებდა 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის ერთ-ერთი ეპიზოდის საქმეშიც, სადაც ის პროკურორი იყო. ამ საქმეში ბრალდებულ ორ ადამიანს, რომელიც მაშინდელ აქციაში მონაწილეობდნენ, გამოძიება უცნობი პირის ცემას ედავებოდა. მაშინ ორივე საქმეზე აქციის მონაწილეთა ბრალი სწორედ პროკურორ სუბელიანის ძალისხმევით დამტკიცდა<sup>24</sup>.

საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მირზა სუბელიანის სახელი, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის შემდეგ მოექცა. ზაზა სარალიძე და მისი წარმომადგენელი ჯერ კიდევ გამოძიების პირველ ეტაპზე მიანიშნებდნენ საქმეში მტკიცებულებათა შესაძლო განადგურებისა და გამოძიების ტენდენციურობაზე. გამოძიებისადმი სუბელიანის ინტერესებზე ყველა ეჭვი მას შემდეგ დადასტურდა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოზარდების მკვლელობის საქმის არსებითად განხილვის პარალელურად, ტვ „რუსთავი 2“-მა ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების ამსახველი სათვალთვალ კამერის ჩანაწერები და სასამართლო დარბაზიდან ჩვენებები გაასაჯაროვა.

ტელეგადაცემა „კურიერის“ მიერ მოპოვებული ჩანაწერები 4 ეპიზოდისგან შედგება. პირველი ფაილის დაწყების დრო 2017 წლის 1 დეკემბრის 13:55 საათია. ამ დროს ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვნების დაპირისპირება უკვე დასრულებულია.

„კურიერმა“ ასევე გაასაჯაროვა საქმის ერთ-ერთი ფიგურანტის - მიხეილ კალანდიას სახლთან დამონტაჟებული კამერის ჩანაწერები, სადაც ასახულია ორი მოზარდის მკვლელობის შემდეგ კალანდიას სახლთან განვითარებული მოვლენები. ვიდეომასალით, პირველი ავტომობილი (შავი ფერის BMW) 14:00 საათის შემდეგ შედის ეზოში. მძიმე დანაშაულის დაფარვაში ბრალდებულმა კალანდიებმა სასამართლოს უთხრეს, რომ ავტომობილი მათ მეგობარს, გიორგი თურქიას ეკუთვნის. საქმის მასალებით ირკვევა, რომ თურქიამ მიხეილ კალანდია, ერთ-ერთ ბრალდებულთან ერთად, პეტრიაშვილის ქუჩის სამალავიდან სახლში მიიყვანა. დაახლოებით 15:00 საათისთვის ეზოში კიდევ ერთი მანქანა (წითელი ფერის Toyota Prius) შედის, რომლის მფლობელიც მირზა სუბელიანის მეუღლე, თეა კაკუბავაა, რომელიც შვილთან ერთად იმყოფებოდა. სწორედ ამ მოზარდის დაჩაგვრას მოჰყვა სისხლიანი დაპირისპირება.

მიხეილ კალანდიას ძმის - ლუკა კალანდიას ჩვენების მიხედვით, მას თავისი ძმის სისხლიანი ტანისამოსი არ გაურეცხავს და სახლთან ახლოს გადაყარა, რასაც ასევე ადასტურებს „კურიერის“ მოპოვებული კადრებიც.

<sup>21</sup> იხ. ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/22245/>

<sup>22</sup> იხ. ვრცლად: <http://www.gurianews.com/article/mtavari/samartali/11582>

<sup>23</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2AL5efd>

<sup>24</sup> ინფორმაცია ვრცლად: <https://imednews.ge/ge/samartali/82191/vin-aris-mirza-subeliani-da-ra-akavshirebs-mas-sozar-subartan>

„კურიერის“ მეორე ვიდეომასალაში, ძირითადად, ლუკა კალანდია აქტიურობს. ის რამდენჯერმე გამოვლის და შედის ეზოში. როგორც სასამართლოზე აღნიშნა, ერთ-ერთი გასვლისას ძმის და მეგობრის ტელეფონები მოიშორა თავიდან<sup>25</sup>.

15:35 საათზე კალანდიების საცხოვრებელი სახლის ეზოში ფეხით შედის მირზა სუბელიანი, რომელიც კალანდიების ოჯახის ნათესავია. კალანდიების მამა, თენგიზ კალანდია გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ყვება, რომ მან ქვისლს მიაწოდა ინფორმაცია, რაც ბიჭებისგან მოისმინა.

მირზა სუბელიანის მისვლიდან რამდენიმე წუთში ეზოში შედის ვერცხლისფერი Toyota Vitz. ავტომობილის მფლობელი კალანდიების მეგობლის მეგობარია. სწორედ ამ ავტომობილით გაიყვანეს მიხეილ კალანდია და ერთ-ერთი ბრალდებული ქალაქიდან.

ვიდეომასალის გასაჯაროების შემდეგ, 2018 წლის 9 ივნისს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლევლობების შეუწყობინებლობისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის საფუძველზე, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი მირზა სუბელიანი დააკავეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, დაზარალებულ მამა სარალიძესთან ერთად, საქმეში არსებულ არაერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, მოითხოვდა სუბელიანის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გამოსაკითხ პირთა/მოწმეზე ზემოქმედების ან გამოძიებისთვის ხელის შეშლის მუხლებითაც, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაითვალისწინა. ეს კი, კიდევ ერთხელ, ადასტურებდა დანაშაულის დაფარვის მცდელობაში, საგამოძიებო ორგანიზების ჩარევას.

შსს-ს მტკიცებით, ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვნის მკვლევლობის შემდეგ, მირზა სუბელიანისთვის ცნობილი გახდა დანაშაულის შესახებ, რაც მან არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს. მოგვიანებით, სასამართლომ ეს ბრალი სსკ-ის 375-ე მუხლით გადააკვალიფიცირა (დანაშაულის დაფარვა)<sup>26</sup> და 2019 წლის 4 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მირზა სუბელიანის სასჯელის სახით 1 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა<sup>27</sup>. სუბელიანი 8 თვის განმავლობაში წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. მან სასჯელადსრულების დაწესებულება 2019 წლის 8 ივლისს დატოვა<sup>28</sup>.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა კიდევ ერთი აუდიოჩანაწერი გაასაჯაროვა, სადაც, სავარაუდოდ, მირზა სუბელიანი დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძესა და პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნის ნდობით აღჭურვილ პირს, დავით ცუხიშვილს ესაუბრება. საუბარი გლდანის ნომერ მე-8 სასჯელადსრულების დაწესებულებაშია ჩანერილი. როგორც გავრცელებულ აუდიოჩანაწერში სავარაუდოდ მირზა სუბელიანი აცხადებს, ხელისუფლებასთან მას წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული, რომ სასჯელად 1-წლიან თავისუფლების აღკვეთას განუსაზღვრავდნენ<sup>29</sup>.

სამოგადოებასა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებში იმთავითვე დაიწყო მირზა სუბელიანის მიმართ გამოტანილი განაჩენის კრიტიკა, რომ საქმეში არსებობდა არაფორმალური გავლენები და ამ პროცესში სავარაუდოდ მონაწილეობდა სასამართლოც. ხორავას ქუჩის საქმემ და მასში ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნის როლმა კიდევ ერთხელ გააჩინა აღქმა, რომ ქვეყანაში გავლენიანი პირები მართლმსაჯულების პროცესზე მანიპულირებენ.

<sup>25</sup> იხ. კურიერის რეპორტაჟი: <https://www.youtube.com/watch?v=MQafEe2USeg>

<sup>26</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3an6YrX>

<sup>27</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2ycq71z>

<sup>28</sup> ინფორმაცია ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/378746/>

<sup>29</sup> იხ. ვრცლად: [https://www.youtube.com/watch?v=qQ\\_fwizEfl](https://www.youtube.com/watch?v=qQ_fwizEfl), 18:03 წუთში.

ჩანაწერში ისმის, რომ სავარაუდოდ, მირზა სუბელიანს პირადად აქვს ისეთი საქმეების „დალაგებაში“ მონაწილეობა მიღებული, როგორიცაა: სერგო თეთრაძის საქმე<sup>30</sup>, ნავთლულის სპეცოპერაციის საქმე<sup>31</sup> და ციხის ბუნტის საქმე<sup>32</sup>, რისთვისაც ყოფილი მინისტრი, ბაჩო ახალაია იხდის სასჯელს. ნავთლულის საქმეზე მსჯავრდებულია დათა ახალაიაც. ასევე, ნახსენებია ე.წ. ვანოს საქმე, სადაც იგულისხმება ყოფილი შს მინისტრის და პრემიერის, ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანა. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, იგი ღამით საკნიდან უკანონოდ გაიყვანეს და მაშინდელ მთავარ პროკურორთან, ოთარ ფარცხალაძესთან მიიყვანეს, სადაც უთხრეს, რომ თუკი ჩვენებას მისცემდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბურაბ ყვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ და უცხოეთში გაუშვებდნენ<sup>33</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა<sup>34</sup> და სახელმწიფოს ამ საქმის გამოძიება დაავალა. ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით, აუდიოჩანაწერში, სავარაუდოდ სუბელიანი ხაზს უსვამს, რომ ეს ყველაფერი ჩანერილი და დაარქივებული აქვს. ფარული ჩანაწერით იკვეთება, რომ ხელისუფლებისთვის ეს საქმეები სწორედ სუბელიანმა „დაალაგა“. მნიშვნელოვანია, რომ მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის საქმესთან დაკავშირებით, შიდა მოკვლევას სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს გენერალური ინსპექცია ატარებდა, როცა უწყებას მირზა სუბელიანი ხელმძღვანელობდა და მას პირველ რიგში ექნებოდა წვდომა მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის სათვალთვალო ვიდეოკადრებზე თუ სხვა მნიშვნელოვან მასალებზე.

ჩანაწერში ნახსენებია ბიზნესმენ ხარძიანის მკვლელობის საქმეც. ეს დანაშაული „ქართული ოცნების“ მმართველობის დროსაა ჩადენილი. სავარაუდოდ, მირზა სუბელიანი ამბობს, რომ მოწმეებს იტაცებდა და სცემდა სასურველი ჩვენებების მისაღებად, მათ შორის, გიორგი გახარიას ბიზნესომბუდსმენობის დროს. ბაჩო ახალაიას საქმის მოწმეებზე კი ამბობს, რომ მათ აწამებდა.

ამ ჩანაწერით, თუკი ხმა ნამდვილად მირზა სუბელიანს ეკუთვნის, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მან ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიების პროცესზე ზეგავლენა მოახდინა და ეს სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ გახმაურებულ საქმეებზე, განსაკუთრებით კი - ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ეპიზოდზე საიდუმლო ინფორმაციის ფლობის წყალობით მოახერხა. ამ ორი საქმის მჭიდრო კავშირზე სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამაც ისაუბრა<sup>35</sup>.

ჩანაწერების მიხედვით, სავარაუდოდ, მირზა სუბელიანი საუბრობს, რომ ის საკუთარი ნებით ჩაჯდა ციხეში, რაზეც გარკვეულ პირობებზე გაურიგდა ხელისუფლებას. ამავე დროს, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს მმართველი გუნდის დამოკიდებულებით და ამბობს, რომ ხელისუფლება ჯეროვნად ვერ აფასებს მის ერთგულებას. მთავარი პროკურატურის განცხადებით, აუდიოჩანაწერზე, რომელშიც სავარაუდოდ მირზა სუბელიანი ფიგურირებს, გამოძიება 2018 წლის 12 ოქტომბერს დაიწყო. უწყების ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე, პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის, იძულების, პატიმრობაში მყოფი პირის კერძო საუბრის უნებართვო ჩანერის, უკანონოდ შენახვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და სამსახურებრივი უფლებამოსილების

<sup>30</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2Zx5gS9>

<sup>31</sup> იხ. ვრცლად: <https://netgazeti.ge/law/30097/>

<sup>32</sup> იხ. ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/440216/>

<sup>33</sup> იხ. მერაბიშვილის განცხადების სრული ვერსია: <https://bit.ly/2z7xVm9>

<sup>34</sup> იხ. ვრცლად: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/merabishvili-saqartvelos-winaagmdeg.pdf>

<sup>35</sup> სახალხო დამცველის კომენტარი: <https://bit.ly/2yyEm13>

გადამეტების შესაძლო ფაქტებზე. „ქართული ოცნების“ დეპუტატმა მესტიიდან - ვიქტორ ჯაფარიძემ მედიას დაუდასტურა მირზა სუბელიანთან ვიზიტიც და ჩანაწერებით გავრცელებული საუბრის შინაარსიც<sup>36</sup>.

გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერში საუბარია არაერთ სავარაუდო დანაშაულზე, რის თაობაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას და საქმის შესწავლა მოითხოვა. ორგანიზაციის მოთხოვნას დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია.

## სასამართლო დარბაზიდან ქუჩაში, მთავარი პროკურორის გადადგომა

„ჩემი შვილის მკვლეელი უცნობია“ - ამ სიტყვებით დატოვა ზაზა სარალიძემ თბილისის საქალაქო სასამართლო განაჩენის გამოცხადების დღეს და პროტესტის ნიშნად, მთავარ პროკურატურასთან გადაინაცვლა. აცრემლებული შვილმოკლული მამა მთავარი პროკურორის და საპატრულოს პოლიციის უფროსის ნახვას ითხოვდა, მაგრამ მთავარ პროკურატურასთან მისულს პოლიციის კორდონი დახვდა. შეხვედრასთან დაკავშირებით კი პასუხი არ მიუღია. ზაზა სარალიძე სხვადასხვა მოთხოვნებს აჟღერებდა - ხან მთავარი პროკურორის გადადგომას, ხანაც მთავრობის სრულად გადადგომას ითხოვდა. მთავარმა პროკურორმა მასთან შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ - მედიის გარეშე, რაზეც სარალიძე არ დათანხმდა.

„დამიდექით გვერდით, ნუ დამტოვებთ მარტო!“ - ამ სიტყვებით მიმართა სასონარკვეთილმა სარალიძემ მოსახლეობას, სატელევიზიო ეთერით. მის მხარდასაჭერად თბილისის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა. მიუხედავად მოთხოვნისა, პროკურატურა სარალიძესთან შეხვედრას მხოლოდ მედიის გარეშე თანხმდებოდა. ეს კი საპროტესტო მუხტთან ერთად, მთავარ პროკურატურასთან შეკრებილი ადამიანების რიცხვს უფრო ზრდიდა. აქციაზე გამოჩნდა პირველი ლედი მაკა ჩიჩუა და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა სახეებიც. მთავარი პროკურორის გადადგომა მოითხოვეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც<sup>37</sup>.

საპროტესტო აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათში გავრცელდა ინფორმაცია მთავარი პროკურორის გადადგომის შესახებ, რაც პროკურატურამ თავიდან უარყო<sup>38</sup>, მაგრამ რამდენიმე წუთში ამ ამბის მართებულობა დადასტურდა. ირაკლი შოთაძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ წერილობით ამცნო საზოგადოებას<sup>39</sup>.

<sup>36</sup> იხ. ვიქტორ ჯაფარიძის ინტერვიუ: [https://www.myvideo.ge/?video\\_id=3691329](https://www.myvideo.ge/?video_id=3691329)

<sup>37</sup> მიმართვა იხ.: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19606&lang=geo>

<sup>38</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2xComdx>

<sup>39</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3dB3dB6>

## „ნუ მომკლავ!“ და სხვა საპროტესტო აქციები

სამოგადოებაში არსებული უსამართლობის გრძობა, როგორც მოსალოდნელი იყო, შოთაძის გადადგომამ ვერ ჩააცხრო. ზაზა სარალიძე ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა თანამდებობის პირის გადადგომას და დამნაშავეთა დასჯას ითხოვდა. მთავარი პროკურორის განცხადების შემდეგ ათასობით ადამიანი ფეხით პარლამენტის შენობისკენ დაიძრა<sup>40</sup>. გზაში აქციას კიდევ უფრო მეტი ადამიანი შეუერთდა და საპროტესტო მუხტი უფრო გაღვივდა. „ნუ მომკლავ“ - ეს ის ძირითადი გზავნილი იყო ხელისუფლებისადმი, რაც სისტემურ დანაშაულებზე მიუთითებდა და რამაც ადამიანები ქუჩაში გამოიყვანა. პარლამენტთან მომიტინგეები მოზარდების მკვლელობის საქმის ფალსიფიცირებაში მონაწილე ყველა პირის დასჯას მოითხოვდნენ<sup>41</sup>. სარალიძემ ხელისუფლებას მირბა სუბელიანის დასაკავებლად ვადა 10 საათამდე მისცა, რაც არ შესრულდა<sup>42</sup>.

პრობლემის სიმწვავემ სამოგადოების სხვადასხვა ჯგუფი გააერთიანა, რაც ასევე ცხადყო საპროტესტო აქციაში სპროტსმენების<sup>43</sup>, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა<sup>44</sup> და სამოქალაქო მოძრაობის მონაწილეობამ<sup>45</sup>. აქციის მონაწილეებმა პრემიერს პარლამენტის დათხოვნისკენაც მოუწოდეს<sup>46</sup>.

ცოტა ხანში, პარლამენტთან მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი გამოჩნდა, რომელმაც სიტყვით გამოსვლა ვერ მოახერხა, რადგან აქციის მონაწილეებმა მას ბოთლები დაუშინეს და ასევე, სკანდირებდნენ - „ნადი!“<sup>47</sup> პრემიერმა ტერიტორია მალევე დატოვა, შემდეგ კი პროვოკაციაში აქციაში მონაწილე პოლიტიკურად ანგაჟირებული პირები დაადანაშაულა<sup>48</sup>. მოგვიანებით გამართულ ბრიფინგზე<sup>49</sup> კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ 1 ივნისიდან შსს დაიბრუნებს ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეს პროკურატურისგან და საგამოძიებო კომისია უმოკლეს ვადაში დაიწყებს მუშაობას.

მართლაც, 2018 წლის 31 მაისს დაწყებული მრავალათასიანი აქციების ფონზე, თბილისში, ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდის მკვლელობის საქმე 2018 წლის 1 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურატურისგან - შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა ხელახალი გამოძიებისთვის<sup>50</sup>.

31 მაისის აქციის დასრულების შემდეგ ზაზა სარალიძემ პროტესტის გაგრძელება და პარლამენტთან, კარავში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო<sup>51</sup>. იმავე დამეს პროკურატურის ყოფილი მალაჩინოსანი, მირბა სუბელიანი გამოკითხვაზე დაიბარეს<sup>52</sup>. 1 ივნისს კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის

<sup>40</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3fB41Ho>

<sup>41</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2WhEKu1>

<sup>42</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2Wgfm0D>

<sup>43</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2yigpuC>

<sup>44</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3awqhPy>

<sup>45</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2wKA4Tu>

<sup>46</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2zqxrXK>

<sup>47</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2Wh6UV0>

<sup>48</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2Wxe5YU>

<sup>49</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2yvAL47>

<sup>50</sup> იხ. ვრცლად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/29262830.html>

<sup>51</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3du10Xj>

<sup>52</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2A4dKw6>

დეპარტამენტის უფროსმა, ვლადიმერ ბორცვაძემ განაცხადა<sup>53</sup>, რომ კრიმინალური პოლიცია იძიებდა მოზარდების მკვლელობის საქმის იმ დამატებით გარემოებებს, რაც სასამართლოში განხილვისას გამოიკვეთა. განცხადებაში შსს-მ, ფაქტობრივად, აღიარა იმ ეჭვების რეალურობა, რაც საზოგადოებაში არსებობდა. ბორცვაძის თქმით, „არსებობს ეჭვი, რომ ისინი ცდილობდნენ გამოძიების ვერსიის დანგრევას და გარკვეული პირებისთვის პასუხისმგებლობის არიდებას“.

ხელისუფლებისადმი უნდობლობის გამო, აქცია განახლდა. შვილმოკლულ მამასთან, სოლიდარობის ნიშნად, აქციაზე მივიდა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პირველი ლედიც<sup>54</sup>. აქციას 51-ე სკოლის მოსწავლეები შეუერთდნენ, რომლებმაც დაიწყეს მოძრაობა #ნუმომკლავ<sup>55</sup>. აქციაზე ჩამოვიდნენ ფერეიდნელი ქართველები და პანკისელი ქისტები. სარალიძეს სოლიდარობა გამოუცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა, რომლის შვილი, თემირლან მაჩალიკაშვილი პანკისის სპეცოპერაციის დროს, სპეცრაზმელებმა მოკლეს<sup>56</sup>.

1 ივნისის აქციაზე მისული ხალხის სიმრავლის გამო, აქციის მონაწილეებმა გზის გადაკეტვა ითხოვეს, რისი უფლებაც მათ შსს-მ არ მისცა. ამას რამდენიმეწუთიანი შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რა დროსაც სამი ადამიანი დააკავეს<sup>57</sup>. საბოლოოდ, რუსთაველის გამზირი მაინც გადაიკეტა.

ზაზა სარალიძის პროტესტისადმი ინტერესი გაძლიერდა ოპოზიციურ პარტიებშიც, რომლებიც შექმნილი ვითარების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობდნენ. მიუხედავად ამისა, სისტემის წინაშე მარტო დარჩენილი ზაზა სარალიძისთვის ოპოზიციის წარმომადგენელთა მხარდაჭერის მიღება სრულიად ლოგიკურია. ნებისმიერი პროტესტი, თავისი შინაარსით, პოლიტიკური აქტია. თავად სარალიძის მოთხოვნათა შინაარსიც ქვეყანაში სისტემური პრობლემების აღმოფხვრისკენ იყო მიმართული, რაც ასევე მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, მაგრამ ეს არ განაპირობებს არც სარალიძის და არც მისი მხარდამჭერი მრავალი ადამიანის პოლიტიკურ გემოვნებას.

ამის მიუხედავად, მმართველი პოლიტიკური ძალა მუდამ ცდილობდა ზაზა სარალიძის სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებას. ვინაიდან სარალიძის ყველაზე აქტიური მხარდამჭერი, ზვიად კუპრავა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდებოდა, გახშირდა საუბარი, რომ შვილმოკლულ მამას ოპოზიციური პარტიები იყენებდნენ<sup>58</sup>. თავდაპირველად, მმართველმა ძალამ ოპოზიციური ძალების დადანაშაულება დაიწყო, რომ ისინი ზაზა სარალიძეს თავიანთი პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად იყენებდნენ, ხოლო შემდგომში, თავად მის პოლიტიკურ კუთვნილებაზე აკეთებდნენ განცხადებებს, რაც სარალიძის მიმართ არასწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ისახავდა მიზნად. ეს არ იყო მმართველი ძალის მიერ მსგავსი მეთოდების გამოყენების პირველი შემთხვევა. ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური პოლარიზაციისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი“ საზოგადოების დიდი ნაწილის ანტიპათიის გამო, „ქართული ოცნება“ მუდმივად ცდილობს, ყველა საპროტესტო ხმა მსგავსი მეთოდებით ჩაახშოს. პარალელურად, როგორც სხვა აქციებისას, ონლაინ-სივრცეშიც აქტიურად გამოიყენებოდა პროპაგანდისტული და უმეტესად ცრუ ინფორმაციის ტირაჟირების პრაქტიკა, რაც საზოგადოების აზრის ფორმირებას და სარალიძისადმი ანტიპათიის გაჩენას ისახავდა მიზნად.

<sup>53</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2LbZ8Gv>

<sup>54</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2LaultB>

<sup>55</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3bq8Wda>

<sup>56</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3dvmVNw>

<sup>57</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2SPay7j>

<sup>58</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3dB37cl>

ხელისუფლებაში განაცხადეს ისიც, რომ სარალიძის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და მის სიკვდილს ოპოზიცია დესტაბილიზაციისთვის გამოიყენებდა. ამიტომ, მათ სარალიძეს დაცვა კი შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა<sup>59</sup>.

სარალიძის წინააღმდეგ კამპანიაში ჩაერთო ოდიოზური ორგანიზაცია „ქართული მარში“. სარალიძის მხარდამჭერები პარლამენტთან დამნაშავეთა დასჯას როცა ითხოვდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ აქციაზე შეკრებილი მოქალაქეების ნაწილი ამტკიცებდა, რომ სარალიძის ტრაგედიას ოპოზიცია ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იყენებდა. ქაშუეთის ეკლესიასთან შეკრებილ კონტრაქციის მონაწილეებს, რომელთა შორის „ქართული მარში“ აქტიურობდა, სარალიძის მხარდამჭერებისგან პოლიციელების კორდონი იცავდა. მსგავსი სცენარი საზოგადოებამ ე.წ. ბასიანის აქციების დროსაც იხილა, რაც ყოველ ჯერზე ააშკარავებს ხელისუფლების მიზნებთან ამ ჯგუფების კავშირს და მათ წახალისებას.

იმავე დღეს საეჭვო წარმომავლობის კიდევ ერთი ორგანიზაციის - „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმაც გამართეს მეორე კონტრაქცია<sup>60</sup>.

ამის მიუხედავად, სარალიძის მხარდამჭერი აქცია მესამე დღესაც გაგრძელდა და საკითხისადმი გამომხმარებაც გაიზარდა<sup>61</sup>. ზაზა სარალიძეს ომბუდსმენი შეხვდა. მასთან შეხვედრის სურვილი კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემაც გამოთქვა<sup>62</sup>. პარალელურად, მესამე სექტორის წარმომადგენლებმა შსს-ს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პროკურატურის რეორგანიზაცია მოითხოვეს<sup>63</sup>. ამ მოთხოვნას 15 უფლებადამცველი ორგანიზაცია აწერდა ხელს.

ამ დროის განმავლობაში ზაზა სარალიძე მუდმივად იმეორებდა, რომ მას პოლიტიკური მიზნები არ ამოძრავებდა და მხოლოდ კითხვებზე პასუხი აინტერესებდა. ამის მიუხედავად, მის წინააღმდეგ კამპანიამ შედეგი გამოიღო და ხელისუფლებასთან ერთად, სარალიძეს უკვე საზოგადოების ნაწილიც აკრიტიკებდა.

საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა აქციის მონაწილეთა განწყობაზეც აისახა. სიტუაციის დაძაბვის პარალელურად, აშკარა გახდა, რომ ოპოზიციურად განწყობილი აქციის მონაწილეები საკუთარი პოზიციების დათმობას არ გეგმავდნენ. ამის ნათელი დემონსტრირება იყო „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის და აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ზვიად კუპრავას განცხადება, რომ თუ ზაზა წინააღმდეგი იყო, ის მარტოც გააგრძელებდა ბრძოლას დათო სარალიძის მკვლელების დასასჯელად პოლიტიკურ პარტიებთან ერთად. მალევე კუპრავამ აქცია ოპოზიციონერ პოლიტიკოსებთან შეხვედრის მიზნით დატოვა<sup>64</sup>, სარალიძე კი რუსთაველზე კარავში სხვა მხარდამჭერებთან ერთად დარჩა. ცოტა ხანში მან მომიტინგეებს სიტყვით მიმართა და მხარდამჭერებთან ერთად, მთელ საქართველოს მოუწოდა სისტემის დამხობისკენ<sup>65</sup>.

ორ ფრონტს შორის გახლეჩილი სარალიძე ნელ-ნელა კარგავდა პროცესებზე გავლენას. ეს მალევე დადასტურდა, როცა საზოგადოება გაერთიანების ნაცვლად ორ ნაწილად გაიყო და მხარდამჭერთა ნაწილი აქციებს გამოეთიშა, იმ მოტივით, რომ არ სურდათ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად ბრძოლა. ამის შემდგომ, რუსთაველის გამზირზე აქტივისტები პოლიტიკოსებმა ჩაანაცვლეს<sup>66</sup>.

<sup>59</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2WeXIGX>

<sup>60</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3bebbO3>

<sup>61</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2yunGrL>

<sup>62</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3fxbbfK>

<sup>63</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2SQfdWD>

<sup>64</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3bhsDBB>

<sup>65</sup> იხ. ზაზა სარალიძის მიმართვა: <https://bit.ly/2SOgjCk>

<sup>66</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2Adix7V>



ამის მიუხედავად, აქციები კვლავ გაგრძელდა, ამჯერად - ორ სხვადასხვა ლოკაციაზე. რუსთაველიდან წამოსული აქტივისტების ნაწილი ვაკის პარკში შეიკრიბა, სადაც მოითხოვდნენ „სამართლიანობის აღდგენას პოლიტიკური პარტიების გარეშე“<sup>67</sup>. ამ აქციაზე გამოჩნდნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებიც<sup>68</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ორივე აქციაზე იყო ბაზა სარალიძის მხარდასაჭერად მისული ადამიანები, ამ აქციების ორგანიზატორების პოლიტიკური ინტერესები საზოგადოების პოლარიზებას კიდევ უფრო აღრმავებდა. ამის მიუხედავად, სარალიძე ვაკის პარკის აქციის მონაწილეებთან მაინც მივიდა, სადაც განმარტა, რომ მას არა პოლიტიკური ინტერესი, არამედ საქმის გამოძიების სურვილი და დამნაშავეთა დასჯა ამოძრავებდა. ამისთვის კი, მზად იყო, სოლიდარობა ყველა პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანისგან თუ პარტიისგან მიეღო. საპასუხოდ მომიტინგეებმა მას ვაკის პარკში დარჩენა და „ნაციონალური მოძრაობისგან“ გამიჯვნა მოსთხოვეს. მას შემდეგ, რაც სარალიძემ აქციის დატოვება გადაწყვიტა, ამას მომიტინგეთა პროტესტი მოჰყვა. სარალიძემ ტერიტორია ომბუდსმენის დახმარებით დატოვა, რის შემდეგაც, რამდენიმე საათის განმავლობაში, იგი არცერთ აქციაზე არ გამოჩენილა. მოგვიანებით კი პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე მივიდა<sup>69</sup>. ამის შემდეგ მაშინდელი პრემიერ მინისტრი, მართალია, საკუთარი პირობებით, მაგრამ სარალიძესთან შეხვედრას დათანხმდა. შეხვედრას, ბაზა სარალიძესთან ერთად, მისი უფლებების დამცველი, ნესტან ლონდარიძე და ომბუდსმენი ნინო ლომჯარია ესწრებოდნენ, მთავრობის მხრიდან კი - პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და შს მინისტრი, გიორგი გახარია. მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან გამოძიების ეფექტურად წარმართვის პირობიდან გამომდინარე, ბაზა სარალიძემ აქციების დროებით შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო და ხელისუფლებას ვადა 2018 წლის 10 ივნისამდე მისცა<sup>70</sup>.

## პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა

2018 წლის 31 მაისს, მთავარ პროკურატურასთან აქციების დაწყებიდან რამდენიმე საათში, პარტია „ევროპულმა საქართველომ“ საპარლამენტო უმრავლესობას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით მიმართა<sup>71</sup>. პირველ ჯერზე უმრავლესობა საგამოძიებო კომისიის შექმნის წინადადებას არ დაეთანხმა. მათი პოზიციით, ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის ამ ფორმატით განხილვა საქმეს პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანდა. უმრავლესობამ კომისიის შექმნის საკითხზე პლენარული სხდომის დაწყებამდე სათათბიროდ დრო ითხოვა<sup>72</sup>. საბოლოოდ, საზოგადოებრივი მღელვარების ფონზე, საპარლამენტო უმრავლესობა დათანხმდა საგამოძიებო კომისიის შექმნას, თანაც - იმ პირობით, რომ კომისიის წევრთა უმრავლესობა

<sup>67</sup> იხ. ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/282561/>

<sup>68</sup> იხ. ვრცლად: <http://trialeti.ge/?m=201806&paged=60>

<sup>69</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2SMEEsk>

<sup>70</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2A7O3UE>

<sup>71</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2wztJKF>

<sup>72</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/39rZ9zU>

საპარლამენტო ოპოზიცია იქნებოდა<sup>73</sup>. „ევროპულის საქართველოს“ საპარლამენტო ფრაქციამ საქართველოს პარლამენტს საგამოძიებო კომისიის შემადგენლობა წარუდგინა, რომელიც 2018 წლის 6 ივნისს რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცდა<sup>74</sup>. კომისიის არჩევას 95-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი მხოლოდ 1 დეპუტატი იყო<sup>75</sup>.

2018 წლის 31 მაისს, პარლამენტის სხდომაზე, დეპუტატებმა კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას, რომ მოზარდების მკვლელობის საქმე საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას უნდა გამოეძიებინა<sup>76</sup>. 2018 წლის 6 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა შექმნა „2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია“<sup>77</sup>. 2018 წლის 7 ივნისს, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ მუშაობა დაიწყო, რაც სამი თვე გაგრძელდა. კომისიამ შეისწავლა არაერთი მტკიცებულება და გამოკითხა არაერთი მოწმე, დასასრულს კი, წარადგინა დასკვნა და რეკომენდაციები<sup>78</sup>.

მუშაობის პირველ ეტაპზე საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ დახმარებისათვის მიმართა ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტს (National Democratic Institute)<sup>79</sup>, რომელმაც 2018 წლის 28 ივნისიდან 6 ივლისამდე კომისიისთვის კონსულტაციის გასაწევად გამოგზავნა ილინოისის შტატის საოლქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ბლანშ ფეიველი. მან კომისიის წევრებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება საგამოძიებო კომისიების საქმიანობასა და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. კომისიის შეფასებით, საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობამ პოზიტიური როლი ითამაშა კომისიის სხდომების უფრო ეფექტიანად წარმართვაში<sup>80</sup>. ასევე, საგამოძიებო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, არასრულწლოვანთა გამოკითხვისას გაეთვალისწინებინა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) რეკომენდაცია და გამოცდილება, შესაბამისად, კომისიის წევრთა დასატრენინგებლად ექსპერტი დაიქირავა<sup>81</sup>. იგივე ექსპერტი ასევე მონაწილეობდა არასრულწლოვანთა გამოკითხვებში. იგი იყენებდა „ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ნაციონალური ინსტიტუტის (აშშ) NICHD-ის დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული პროტოკოლით“ გათვალისწინებულ წესებს<sup>82</sup>, რათა არასრულწლოვანთა საქმეების სპეციფიკურობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით, მაქსიმალურად დაეცვა მათი საუკეთესო ინტერესები.

საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის დასკვნის თანახმად, ხორავას ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საწყის ეტაპზე ინტენსიურად დაიწყო საგამოძიებო მოქმედებები, ოპერატიულად მოხდა ჩხუბის ფიგურანტთა იდენტიფიცირება, მაგრამ საქმეში ა.ს.-ს მამის, მირზა სუბელიანის გამოჩენის შემდეგ გამოძიება წარიმართა ტენდენციურად, იმ განზრახვით, რომ პასუხისმგებლობა მომხდარ მკვლელობებზე

<sup>73</sup> იხ. პრეტლად: <https://bit.ly/2UHUtRe>

<sup>74</sup> იხ. პრეტლად: <https://bit.ly/2UpmMok>

<sup>75</sup> იხ. პრეტლად: <https://bit.ly/39tiKQd>

<sup>76</sup> იხ. პრეტლად: <https://bit.ly/2QTICiU>

<sup>77</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; გვ. 5.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>82</sup> იქვე: გვ. 8.

დაკისრებოდათ მხოლოდ გიორგი ჯანაშიასა და გუგა ბარბაქაძეს. ამასთან, დაფარულიყო მიხეილ კალანდიასა და სხვა ფიგურანტების როლი დავით სარალიძის მკვლელობაში<sup>83</sup>.

გამოძიებას დასაწყისშივე არ დაუდგენია, თუ ვინ იყვნენ არასრულწლოვანთა შორის დაწყებული კონფლიქტის ორგანიზატორები, რამაც საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ გამოძიება არ იყო სრულფასოვანი და ადგილი ჰქონდა საქმის ფაბრიკაციას. ცნობილი გახდა, ასევე, რომ ერთ-ერთი არასრულწლოვნის - 14 წლის ა.ს.-ს მშობელი პროკურატურის მაღალჩინოსანი მირბა სუბელიანი გახლდათ<sup>84</sup>, რომლის შვილი და მისი დეიდაშვილი მიხეილ კალანდია სისხლიანი დაპირისპირების მთავარი მოქმედი პირები იყვნენ. საქმეში კი მათ მხოლოდ მონის სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული (ე.წ. ოქროს მონემები), რამაც საზოგადოებაში შექმნა განწყობა, რომ პროკურატურა ხელს აფარებდა დანაშაულის ჩამდენ მთავარ ფიგურანტებს<sup>85</sup>. მოგვიანებით, ასევე ნათელი გახდა ის ფაქტი, რომ მოზარდებს შორის გარჩევა ერთ ეპიზოდში მიმდინარეობდა ხორავას ქუჩის #4-ში არსებულ ფარდულში<sup>86</sup>, რომელიც მალევე დაანგრის, რამაც გაართულა და შეუძლებელი გახდა საქმეზე მნიშვნელოვანი დეტალების დადგენა<sup>87</sup>. პროკურორის მხრიდან დასახელდა მიზეზი, რომ ისინი ვერ შეზღუდავდნენ კერძო პირთა ინტერესს და ამიტომ, გაიცა დანგრევის თანხმობა. მათი მტკიცებით, ფარდულში ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა. თუმცა, საგამოძიებო მასალებში არსებობდა ფარდულისა და დანაშაულის ადგილის სავარაუდო ზომებით აღწერა, რაც სასამართლო პროცესზე დადასტურდა და განმარტეს, რომ საბოლოო ერთეულის უქონლობის გამო ვერ დაადგინეს ზუსტი ზომები და სავარაუდო ზომები ამიტომ მიუთითეს. ეს მაშინ, როცა ფარდულის ფიზიკურ არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი ექსპერიმენტების ჩატარებისათვის და საჭირო იყო მისი დალუქვა გამოძიების დასრულებამდე.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად გაჩნდა კითხვა, რატომ არ ამოიღო გამოძიებამ ერთ შემთხვევაში ჩხუბში მონაწილე პირის ტანსაცმელი, როდესაც ეს საგამოძიებო მოქმედება ჩხუბში მონაწილე სხვა პირთა მიმართ ჩატარდა. არაერთხელ გაკეთდა განცხადება, რომ მონემთა უმრავლესობა არ იძლეოდა ჩვენებას. ამის მიუხედავად, დაცვის მხარის მიერ საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მონემთა დაკითხვის დროს არ დასმულა ის კითხვები, რაც დააზუსტებდა ან/და გამოავლენდა აღნიშნული ან სხვა პირების როლს დანაშაულის ჩადენაში. ამის პარალელურად, გარკვეული მონემები, რომელთაც, მაღალი ალბათობით, ჰქონდათ გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არ დაუკითხავთ/გამოუკითხავთ<sup>88</sup>.

დამარალებული მხარის მტკიცებით, საქმეში არსებობდა მესამე არასრულწლოვანი, რომელიც ხორავას ქუჩაზე დაიჭრა ზურგის არეში<sup>89</sup>. მას ექსპერტიზა 12 დღის შემდეგ ჩაუტარდა, როდესაც ჭრილობას შეხორცება ჰქონდა დაწყებული. ამის თაობაზე კი, გამოძიება არ დაწყებულა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტიზა დაგვიანებით ჩატარდა, ექსპერტიზის შედეგებითა და მონემთა ჩვენებებით,

<sup>83</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის გვალვების საქმის შამსნავალი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; გვ. 18.

<sup>84</sup> იქვე; გვ. 24.

<sup>85</sup> იხ. ხორავას ქუჩის საქმის 18-თვიანი ქრონოლოგია, რადიო თავისუფლება.

<sup>86</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის გვალვების საქმის შამსნავალი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; გვ. 12.

<sup>87</sup> იხ. იქვე, გვ. 29.

<sup>88</sup> იხ. იქვე, გვ. 34.

<sup>89</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2T7PB83>

საქმის მასალებში შესაძლო სხვა დანაშაულის (დაჭრის) ჩადენის ნიშნები იკვეთებოდა<sup>90</sup>. გამოძიება ამ გარემოებებთან დაკავშირებითაც არ დაწყებულა.

დანაშაულის დაფარვის ნაწილში იკვეთებოდა არა მხოლოდ იმ პირთა პასუხისმგებლობის საფუძველი, რომლებიც 9 ივნისამდე იყვნენ პასუხისმგებლობაში მიცემულნი, არამედ - სხვა პირებისაც. თუმცა, საგამოძიებო მოქმედებები დაგვიანებით, ან საერთოდ არ ჩატარდა. ამავდროულად, არ გამოკვლეულა ჩხუბში მონაწილე იმ პირების ბრალეულობა, რომლებიც შეიძლება, მკვლელობის ამსრულებლები არ იყვნენ, მაგრამ შეიძლება, ჩადენილი ჰქონდათ სხვა დანაშაული<sup>91</sup>.

მოკლული დავით სარალიძის ტანსაცმელზე იყო უჩვეულო ფორმის დაზიანებები, რომელთა წარმომავლობის შესახებ სამხარაულის ექსპერტიზას საერთოდ არ უმსჯელია.

მიხეილ კალანდიაძე, რომელიც ჩხუბის აქტიური მონაწილე იყო, ხუთჯერ შეცვალა ჩვენება, რის გამოც სასამართლომ საერთოდ არ გაიზიარა მისი ჩვენებები, როგორც დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობაში მყოფი სხვა მტკიცებულებებთან<sup>92</sup>.

მნიშვნელოვანი იყო საქმეში მირზა სუბელიანის ძალიან დიდი გავლენა მას შემდეგ, რაც „რუსთავის 2“-ის მიერ გასაჯაროვდა ვიდეოთვალის კადრები, სადაც ჩანს მირზა სუბელიანის მოძრაობა კალანდიების ოჯახში. მნიშვნელოვანია, რომ კალანდიების ოჯახს ტოვებს ჯერ მირზა სუბელიანის მეუღლე შვილთან ერთად, შემდეგ მირზა სუბელიანი და თენგიზ კალანდია, რომელიც ბრალდებული იყო დანაშაულის დაფარვის კუთხით და ბუსტად ერთ წუთში მათ მოჰყვებოდა მანქანა, რომელშიც მიმალვის მიზნით არიან გიორგი ჯანაშია და მიხეილ კალანდია. ეს გარემოებები არ გამხდარა გამოძიების შესწავლის საგანი, მეტიც - მირზა სუბელიანი საერთოდ არ გამოკითხულა გამოძიების დროს და კეთდებოდა განცხადებები, რომ იგი საერთოდ არ იყო საქმესთან შემხებლობაში. არ იქნა ამოღებული მისი გადაადგილების ტრეკტორია და სატელეფონო საუბრები.

საგამოძიებო უწყებები ცდილობდნენ, მიეჩქმალათ მირზა სუბელიანის მონაწილეობა დანაშაულის დაფარვა/შეუტყობინებლობასა და მტკიცებულებათა განადგურებაში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მირზა სუბელიანი არაერთხელ იმყოფებოდა პოლიციის განყოფილებაში, ხოლო საქმის გამომძიებელ ირაკლი ფიფიას რეგულარული სატელეფონო კავშირი ჰქონდა მასთან. მიუხედავად ამისა, მან დათვალა იერების ოქმში მაინც არ დააფიქსირა დანაშაულის ადგილას მყოფი სუბელიანი. მეტიც, გამომძიებელი არც კი შეეცადა სუბელიანის ვინაობის გარკვევას<sup>93</sup>.

ასევე, არ ჩატარებულა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებსაც შეიძლება, დანაშაულში ემხილებინა მიხეილ კალანდია, ა.ს. და სხვა ფიგურანტები. საქმის მასალების მიხედვით, დღის განმავლობაში დაიკითხნენ თვითმხილველი მონაწილეები. მათ შემდეგ დაიწყო მირზა სუბელიანთან ერთად მისული ა.ს.-ს გამოკითხვა, რის შემდეგაც, საგამოძიებო უწყებამ თვითმხილველი მონაწილეების დაკითხვა 15 დღით შეწყვიტა. სწორედ ამ მომენტიდან წარიმართა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ტენდენციურად<sup>94</sup>. თბილისის პროკურორისა და მთავარი პროკურორისთვის 2017 წლის 1 დეკემბრიდანვე ცნობილი იყო, რომ მირზა სუბელიანი ყოყმანობდა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე. სწორედ ეს ფაქტი უნდა გამხდარიყო დაინტერესების საფუძველი მათი მხრიდან.

<sup>90</sup> იხ. სახალხო დამცველის განცხადება ხორავას ჟურნალ მოზარდი მკვლელობის გამოძიების პროცესზე, 9 ივნისი, 2018. <https://bit.ly/39uQ49s>.

<sup>91</sup> იხ. სახალხო დამცველის განცხადება ხორავას ჟურნალ მოზარდი მკვლელობის გამოძიების პროცესზე, 9 ივნისი, 2018. <https://bit.ly/39uQ49s>.

<sup>92</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/39uQ49s>;

<sup>93</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ჟურნალ მოზარდი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; გვ. 22.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 20.

გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ფარდულში ჩხუბისას დავით სარალიძესთან ფიზიკური შეხება, გიორგი ჯანაშიას გარდა<sup>95</sup>, ჰქონდათ მიხეილ კალანდიას (ჩხუბის დაწყებიდან დასრულებამდე) და გიორგი მენაბდეს (ეპიზოდურად).

პროკურატურა ცდილობდა, მიეჩქმალა მიხეილ კალანდიას როლი დავით სარალიძის ჯგუფურ მკვლელობაში და იგი ჩაენაცვლებინა გუგა ბარბაქაძით, ვისაც ისედაც უმტკიცებოდა ლევან დადუნაშვილის მკვლელობა. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა პროკურატურის დაუსაბუთებელი ვერსია, გუგა ბარბაქაძე გაამტყუნა მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში, რაც მას მტკიცებულებათა ერთობლიობით უდასტურებოდა, ხოლო დავით სარალიძის მკვლელობის ნაწილში იგი გაამართლა მიხეილ კალანდიას ჩვენებათა არასანდოობისა და სხვა მტკიცებულებათა არარსებობის გამო. პროკურატურამ განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში და კვლავ ცდილობდა დავით სარალიძის ჯგუფური მკვლელობის ბრალდებაში გაემტყუნებინა გუგა ბარბაქაძე. მას არ წარუდგენია მიხეილ კალანდიას მიმართ ბრალდება დავით სარალიძის ჯგუფური მკვლელობის შესახებ.

საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ მიზნა სუბელიანი ხელისუფლებასთან ვაჭრობდა საპატიმროდან ვანო მერაბიშვილის გაყვანის ფაქტზე არსებული კადრებით. იმ დროს სუბელიანი იკავებდა სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციის უფროსის თანამდებობას.

იმ ბრალდებულის დანაშაულებით, რომელსაც ლევან დადუნაშვილისათვის ორი ჭრილობის მიყენება და დავით სარალიძისათვის ათი სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას ედავებოდნენ, არ აღმოჩნდა დავით სარალიძის დნმ-ის პროფილი. მასზე იყო გიორგი ჯანაშიასა და ლევან დადუნაშვილის დნმ-ის პროფილი. დანა „სალფეთეში“ იყო გახვეული, რომელზედაც იყო დავით სარალიძის სისხლის წვეთები მცირე ოდენობით. გამოძიების პოზიციით, დანა წყლით გაირეცხა და წაიშალა დავით სარალიძის დნმ-ის პროფილი<sup>96</sup>.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ეს დანა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერიმენტის ჩატარების დროს დაზიანდა, რის გამოც ამ დანით სასამართლო-სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება შეუძლებელი გახდა.

## პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ორი დასკვნა

2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ მუშაობა 2018 წლის 5 სექტემბერს, დასკვნის<sup>97</sup> მიღებით დაასრულა. კომისიის ბოლო, რიგით მე-20 სხდომაზე დასკვნითი პროექტი შეჯამდა და ასევე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების მიერ მომზადებული დასკვნის განხილვასა და მათ კენჭისყრას დაეთმო.

სხდომაზე, კომისიის მდივანმა ოთარ კახიძემ „ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებული დასკვნა წარმოადგინა, რასაც „ქართული ოცნების“ წევრთა უკმაყოფილება

<sup>95</sup> იქვე: 83. 20.

<sup>96</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შესწავლული საპროცესუალური საპროცესუალური პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; 83. 29.

<sup>97</sup> იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა: <http://www.parliament.ge/uploads/other/101/101632.pdf>

მოჰყვა. შესაბამისად, ამავე სხდომაზე, პარლამენტის წევრმა ანრი ოხანაშვილმა კომისიის დასკვნის მეორე პროექტი<sup>98</sup> წარმოადგინა.

ანრი ოხანაშვილის შეფასებით<sup>99</sup>, მიუხედავად გამოვლენილი ხარვეზებისა, არ ფიქსირდება სამოხელეო დანაშაული და კონკრეტული პირების სისხლის სამართლებრივი დევნის აუცილებლობის საკითხიც არ დგას. მისივე განცხადებით, მისი პოლიტიკური გუნდის მიერ მომზადებული დასკვნის რეკომენდაციები საგამოძიებო სისტემის რეფორმირების და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას შეეხება. ცხადია, ამ შეფასებას არ დაეთანხმა კომისიის წევრთა უმრავლესობა, რომელიც არ წარმოადგენდა „ქართულ ოცნებას“.

სხდომის დასასრულს კომისიის წევრებმა სხდომაზე განხილულ დასკვნის ორივე პროექტს ცალ-ცალკე უყარეს კენჭი. 9 მომხრე, 4 წინააღმდეგით კომისიის წევრთა უმრავლესობამ „ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებულ პროექტს დაუჭირა მხარი, შესაბამისად „ქართული ოცნების“ დასკვნის პროექტს 4 მომხრე და 9 წინააღმდეგი ჰყავდა.

„ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებულ 78-გვერდიან დასკვნაში, რომელიც მიღებულია კომისიის წევრთა უმრავლესობით, წარმოდგენილია 32 რეკომენდაცია<sup>100</sup>. კომისიამ ჩატარებული სამუშაოს ფარგლებში შეიმუშავა რეკომენდაციები 5 მიმართულებით: (1) საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შსს-ს მხრიდან განსახორციელებელი ქმედებები - შსს-ს მიეცა რეკომენდაცია, დაუყოვნებლივ დაწყებულიყო გამოძიება ხორავას ქუჩაზე მომხდარი ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილის, გ.მ.-ს ცივი იარაღით დაჭრის ფაქტზე; ასევე, გამოყოფილიყო ცალკე საქმე და გაეტარებინათ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოსავლენად. (2) საქართველოს პროკურატურისა და შსს-ს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა საგამოძიებო პროცესში ჩადენილი დარღვევების გამო; ასევე, დაწყებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორავას ქუჩაზე მომხდარი ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილის, მიხეილ კალანდიას მიმართ, არასრულწლოვანი დავით სარალიძის ჭგუფურად მკვლელობის ფაქტზე (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით). (3) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სკოლების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა; (4) სკოლის უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები; (5) საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის - სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას დაზარალებულის უფლებების გადახედვის აუცილებლობის კუთხით. კერძოდ - გაიზარდოს დაზარალებულის უფლება, შეუფერხებლად და სრულად მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალის ასლები.

საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ, ასევე, იმსჯელა ჭგუფური მკვლელობის საკითხებზე. საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ გააკეთა შეფასება, რომ პირი, რომელიც ხედავს ადამიანს, რომელსაც დანებით აყენებენ მრავლობით ჭრილობებს მუცელსა და გულ-მკერდის არეში, ის კი, ამ დროს ხელით იჭერს და გარკვეულ საგანს ურტყამს მსხვერპლს, თავისი აქტიური ქმედებით სჩადის განზრახ ჭგუფურ მკვლელობას<sup>101</sup>.

<sup>98</sup> იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის მე-2 პრაქტი:

<http://www.parliament.ge/uploads/other/101/101621.pdf>

<sup>99</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2yB8Q2K>

<sup>100</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შინაგანსაზღვრო საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; გვ. 46-72.

<sup>101</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შინაგანსაზღვრო საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; გვ. 47.

საგამოძიებო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები კომისიის მუშაობის პერიოდში არ შეუსრულებიათ შსს-სა და საქართველოს პროკურატურას<sup>102</sup>. 2018 წლის 3 აგვისტოს, კომისიასთან შეხვედრაზე შს მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტრო ელოდებოდა დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნას და რეკომენდაციებს და მხოლოდ შემდეგ აპირებდა მათზე რეაგირებას<sup>103</sup>. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის უმრავლესობის მიერ მიღებულ საბოლოო დასკვნას მმართველი გუნდი არ დაეთანხმა, „ქართულმა ოცნებამ“ შესაბამისი რეკომენდაციების გაზიარებაზეც უარი თქვა. მათ მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული დასკვნა, რომელსაც კომისიაში მხოლოდ „ქართული ოცნების“ 4-მა წევრმა დაუჭირა მხარი, არა მხოლოდ ფორმულირების, არამედ შეფასებისა და რეკომენდაციების ყველა ასპექტში ეწინააღმდეგებოდა „ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებულ დასკვნას. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭი დასკვნის ორივე ვერსიას უყარეს. მმართველმა გუნდმა, საკონსტიტუციო უმრავლესობით, მხარი თავის დასკვნას დაუჭირა<sup>104</sup>. მათივე შეფასებით, „ევროპული საქართველო“ საგამოძიებო კომისიის დასკვნას პოლიტიკური რევანშისთვის იყენებდა და დეპუტატებს არ ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ ვინმეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა<sup>105</sup>.

კომისიის მუშაობის პროცესს დაემთხვა ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დაკითხული არასრულწლოვანი მოწმის, დაჩი ღლონტის დაკავება, რომელსაც 2018 წლის ივნისში გამოძიებამ ბრალი ცრუ ჩვენების მიცემისთვის წარუდგინა<sup>106</sup>. 2019 წლის 22 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაჩი ღლონტი დამნაშავედ სცნო ამ ბრალდებაში და სასჯელის ზომად 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„ქართული ოცნება“ თავის 20-გვერდიან დასკვნაში საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით იყენებდა ტერმინებს „არ ჩატარდა“, ან „დაგვიანებით ჩატარდა“<sup>107</sup>, მაგრამ ყველა შემთხვევაში განმარტავდა, რომ ამას საქმის საბოლოო შედეგზე გავლენა არ ჰქონია. საგამოძიებო კომისიის მიერ საქმეში არსებული მასალების და გამოკითხულ პირთა ახსნა-განმარტებების ანალიზის საფუძველზე, „ქართული ოცნება“ მიიჩნევდა, რომ: (1) ფარდული საგამოძიებო უწყებებისგან დამოუკიდებლად, მოქალაქეების ინიციატივით დაანგრეს მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა; (2) ნივთმტკიცების სახით საქმეში არსებული დანა არ არის განზრახ დამიანებელი („გალუნული“). ექსპერტიზის ჩატარებისას დანამ მიიღო მიკროდეფორმაცია, რაც არ ჩანს შეუიარაღებელი თვალით. დანა ვარგისია შემდგომი საექსპერტო კვლევისთვის; (3) მირზა სუბელიანის „ხელშეუხებლობა“ და მის მიერ გამოძიების მიმდინარეობაზე შესაძლო ზეგავლენის მოხდენის ეჭვი არ დადასტურდა<sup>108</sup>.

კომისიის მიერ ჯამში გამოიკითხა 79 პირი, მათ შორის რამდენიმე - განმეორებით. გამოკითხულთა შორის იყო 31 არასრულწლოვანი, 2 მსჯავრდებული და 5 ბრალდებული. გამოკითხვებისა და კომისიების სხდომების ხანგრძლივობამ ჯამში 180 საათს გადააჭარბა.

<sup>102</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>103</sup> იქვე: გვ.9.

<sup>104</sup> იხ. ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/255091>

<sup>105</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/39rUXQs>

<sup>106</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2WiAQB4>

<sup>107</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა, „ქართული ოცნება“, გვ. 8. <https://bit.ly/3anLlaS>.

<sup>108</sup> იხ. იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა, „ქართული ოცნება“, გვ. 8. <https://bit.ly/3anLlaS>.

კომისიის წევრები გაეცნენ საქმის მასალების 39 ტომს და დამატებით გამოთხოვილ ინფორმაციას (მთლიანობაში 10,400 გვერდზე მეტი)<sup>109</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა საგამოძიებო კომისია, სახელმწიფომ თავი აარიდა კომისიის დასკვნის სახით რეკომენდაციების გაზიარებას. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის უფლებამონაცვლის უფლებების დაცვა, მისი პროტესტი და მასშტაბური აქციები თბილისში ხელისუფლებამ არაადეკვატურად და პოლიტიზებულად შეაფასა.

## ზაზა სარალიძის ერთკაციანი აქცია პროკურატურასთან

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის რეკომენდაციის შემდეგ, ზაზა სარალიძე შსს-ში კრიმინალური პოლიციის უფროსს შეხვდა. შეხვედრიდან გამოსულმა სარალიძემ განაცხადა, რომ უწყებამ მის მიერ მიცემული ერთთვიანი ვადა დაარღვია და ამის მიზეზად საქმის გაყალბების მცდელობა დაასახელა. მისი თქმით, კრიმინალური პოლიციის უფროსმა მას უთხრა, რომ მტკიცებულებები არ არსებობს და ვერ დაიჭერდნენ კალანდიას. სარალიძე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის რეკომენდაციის გაზიარებასა და უწყების მხრიდან შესაბამის რეაგირებას ითხოვდა.

2018 წლის 1 ივლისის დამე ზაზა სარალიძემ სამართალდამცავი უწყების კედელთან გაათენა სამართლის აღდგენის მოთხოვნით. მეორე დღეს მას შინაგან საქმეთა მინისტრი შეხვდა, რომელმაც პირობა მისცა, რომ სამინისტრო კვირის ბოლომდე რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამდა. შესაბამისად, სარალიძემ პროტესტი შეწყვიტა და განაცხადა, რომ გამოძიების შედეგებს დაელოდებოდა.

## #მამებისიმართლისთვის

მას შემდეგ, რაც სარალიძისთვის მიცემული დაპირება ხელისუფლებამ კვლავ არ შეასრულა, ზაზა სარალიძე მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად, ისევ მთავრობის უმოქმედობას და უპასუხოდ დატოვებული კითხვების გასაპროტესტებლად და მკვლელების დასჯის მოთხოვნით, 2018 წლის 10 სექტემბერს რუსთაველის გამზირს დაუბრუნდა.

#მამებისიმართლისთვის — ასე ასე ერქვა იმ 82-დღიან უწყვეტ აქციას, რომელიც შვილმოკლულმა მამებმა - ზაზა სარალიძემ და მალხაზ მაჩალიკაშვილმა შიმშილობით დაიწყეს<sup>110</sup>. აქციების დაწყებიდან მე-10 თვესაც, ზაზა სარალიძე და მისი მხარდამჭერები, პარლამენტის წინ იგივე მოთხოვნებს აყლერებდნენ.

<sup>109</sup> იხ. 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის გვკლულობის საქმის შესწავლული საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები; გვ. 8.

<sup>110</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2SP03ky>



შიმშილობითა და მძიმე ემოციური ფონით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ზაზა სარალიძე არაერთხელ გახდა შეუძლოდ, რის გამოც ექიმებს მისი საავადმყოფოში გადაყვანა მოუწიათ<sup>111</sup>. საბოლოოდ, მან პროტესტის უკიდურესი ფორმა მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა, რაც ამაზე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ სთხოვა<sup>112</sup>.

აქციის დაწყებიდან მე-16 დღეს - 26 სექტემბერს, როცა არც პროტესტის უკიდურესი ფორმის გამოყენებამ შედეგი არ გამოიღო, სარალიძემ და მახალიკაშვილმა პოლიტიკურ გაერთიანებებს დახმარების თხოვნით მიმართეს<sup>113</sup>. ამას კიდევ ერთხელ მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან კრიტიკა და მამების დემონიზების მცდელობა. ისევ განახლდა ონლაინ-სივრცეში საინფორმაციო კამპანია, რომელიც სარალიძისა და მახალიკაშვილის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა სარალიძეს „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორი უწოდა<sup>114</sup>. მისივე თქმით, ოპოზიცია „ბავშვების ჩხუბის“ მმართველი ძალისთვის დაბრალებას ცდილობდა<sup>115</sup>.

## ბრძოლა კარგებისთვის

აქციის მონაწილეებს აქციების განახლებიდან 46 დღის განმავლობაში არ ეძლეოდათ კარგების დადგმის საშუალება. სხვა აქციებისგან განსხვავებით, სრულიად უკანონოდ, სამართალდამცავები მათ პატარა კარგის გაშლის უფლებასაც არ აძლევდნენ. ამის მიუხედავად, აქციის მონაწილეებს პარლამენტის ტერიტორია არ დაუტოვებიათ. გრძელდებოდა კარგების გაშლის მცდელობებიც.

აქციის დაწყებიდან 46-ე დღეს - 2018 წლის 26 ოქტომბერს, კარგების გაშლის მორიგ მცდელობას, სარალიძესა და სამართალდამცავებს შორის შეტაკება მოჰყვა. შსს-ს ცნობით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ზაზა სარალიძე პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს<sup>116</sup>. რუსთაველზე კვლავ გამოვიდნენ მოქალაქეები, ამჯერად - სარალიძის გათავისუფლების მოთხოვნით<sup>117</sup>. აქციაზე, რომელსაც ზაზა სარალიძის დედა წარუძღვა<sup>118</sup>, მომიტინგეებმა, პროტესტის ნიშნად, „ცოცხალი კარავი“ გაშალეს<sup>119</sup>, რომელიც მოგვიანებით, პოლიციამ აშალა.

ზაზა სარალიძის ბრალდების საქმეზე, რომელშიც მას ასევე წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი, რუსთავის საქალაქო სასამართლომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ იმსჯელა<sup>120</sup>. პროკურატურამ სარალიძისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისგან თავი შეიკავა და სარალიძე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, მალევე გათავისუფლდა.

<sup>111</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3cko3DY>

<sup>112</sup> იხ. ინფორმაცია დეპალურად: <https://bit.ly/35i6SjX>

<sup>113</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2xM3K3b>

<sup>114</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3cjDg87>

<sup>115</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2Wdkc5M>

<sup>116</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3bcSw5m>

<sup>117</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3dvdLdYa>

<sup>118</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2yx16Pi>

<sup>119</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2YOzRdl>

<sup>120</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2WeL1qe>

მოგვიანებით, თბილისის მერიისგან მომიტინგეებს წერილი<sup>121</sup> მიუვიდათ, რითაც მათ საახალწლო ნაძვისხის ინსტალაციის გამო, ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს. ქალაქის მერის ამ გადაწყვეტილებას აქციის ახალი ტალღა მოჰყვა - ლოზუნგით: „უარს ვამბობ ნაძვისხეზე - ვირჩევ ადამიანს!“ მომიტინგეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ამჯერად, სარალიძეს მხარი იმჟამინდელმა პარლამენტის ვიცესპიკერმა, თამარ ჩუგოშვილმა<sup>122</sup> და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა მდინარაძემაც დაუჭირა<sup>123</sup>. საბოლოოდ, თბილისის მერს, კახა კალაძეს უკან დახევა და 2019 წლის საახალწლო ნაძვისხის სხვა ტერიტორიაზე განთავსება მოუწია.

## „კარგებით ვიცავთ თავისუფლებას!“

პოლიციელთა პერმანენტულმა ქმედებამ, რითაც ხელს უშლიდნენ აქციის მონაწილეების მიერ შეკრების აღვილას კარვის განთავსებას, არასამთავრობო ორგანიზაციათა შეშფოთება გამოიწვია. ორგანიზაციების მიერ ერთობლივად გაგრძელებულ განცხადებაში პოლიციის ქმედება მიჩნეულია მშვიდობიანი შეკრების ფორმის კონტროლის მცდელობად, რაც უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციითა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ შეკრების უფლების არსს, ტროტუარი წარმოადგენს საჯარო სივრცეს, რომელზე წვდომის უფლებაც ყველასთვის თანაბრად უზრუნველყოფილი. სახელწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მშვიდობიანი აქციის ორგანიზატორებს, სასურველ აღვილზე განახორციელონ თავიანთი უფლება.

ორგანიზაციების განსაკუთრებული შეშფოთება თბილისის მერიის ბემოთ აღნიშნულ წერილს მოჰყვა, რითაც აქციის მონაწილეებს ტერიტორიის შეცვლა მოსთხოვეს, ნაძვისხის დადგმის გეგმის გამო. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებით, 2018 წლის 10 ნოემბერს, 20:00 საათზე საქართველოს პარლამენტის შენობასთან გაიმართა აქცია — „კარგებით ვიცავთ თავისუფლებას!“ აქცია შვილმოკლული მამების მიმართ სოლიდარობას ისახავდა მიზნად.

საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა, როცა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა კარგების გაშლა სცადეს. პოლიციელებმა მომიტინგეებს რამდენიმე კარავი წაართვეს, მაგრამ მომიტინგეებმა რვა კარვის შენარჩუნება და დადგმა მოხერხეს. მათ კარგებს წრე შემოართვეს და მთელი ღამე კარგებში გაათენეს. შსს-მ საბოლოოდ დათმო 62-დღიანი კარგების გაშლის საწინააღმდეგო „პრინციპული პოზიცია“, რომელსაც ზაზა სარალიძის წინააღმდეგ იყენებდა.

<sup>121</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2YMMDJz>

<sup>122</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2LaWlrR>

<sup>123</sup> იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2WHZN7Y>

## სახალხო დამცველის დასკვნა

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმე შესასწავლად სახალხო დამცველს გადაეცა. სახალხო დამცველის აპარატმა დეტალურად შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, გამოძიების ჩატარების ხარისხი და დასკვნის სახით განაცხადა: „სახეზეა სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთი ან ორივე შემადგენლობა: სამსახურებრივი გულგრილობა, ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, იმის მიხედვით, სუბიექტური მხარის რა ნიშნები იკვეთება ქმედებათა უკან – განზრახ არაეფექტიანი გამოძიება თუ გაუფრთხილებლობით, არაპროფესიონალური მიდგომა ან/და ბერევე დამოკიდებულება დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად“<sup>124</sup>.

## გემდგომი ინსტანციის სასამართლოები

2018 წლის 31 მაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც უცნობი დარჩა დავით სარალიძის მკვლელის ვინაობა, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარემ.

2019 წლის 3 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ ნაწილობრივ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 31 მაისს გამოტანილი განაჩენი. სააპელაციო სასამართლომ დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები არ დააკმაყოფილა, ხოლო ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია გიორგი ჯანაშიას ბრალდების ნაწილში და იგი დამნაშავედ ცნო დავით სარალიძის მკვლელობაში ჯგუფურად, სხვა პირთან ერთად. მას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვის ვადით შეეფარდა. რაც შეეხება გუგა ბარბაქაძეს, სააპელაციო სასამართლომ ბრალდების მხარის მოთხოვნა ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ბარბაქაძეს მონაწილეობა არ მიუღია დავით სარალიძის მკვლელობაში, მაგრამ პალატამ უცვლელი დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლევან დადუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით და დამნაშავედ ცნო გუგა ბარბაქაძე. მას სასჯელი დაუმძიმდა და თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვის ვადით შეეფარდა<sup>125</sup>.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა როგორც დაცვის მხარემ, ასევე ბრალდების მხარემ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა 2020 წლის 22 იანვარს დაიწყო. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ,

<sup>124</sup> **იხ. ვრცლად:** <https://bit.ly/2UkrBPK>

<sup>125</sup> **იხ. ვრცლად:** <https://bit.ly/2xwdxKO>

დაზარალებულის უფლებამონაცვლის წერილობითი თანხმობის გარეშე, გიორგი ჯანაშიასთან მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.

დავით სარალიძის ჯგუფურად მკვლევლობაში ბრალდებულმა გიორგი ჯანაშიამ, საპროცესო შეთანხმების დადებით, აღიარა ჩადენილი დანაშაული. გასათვალისწინებელია, რომ მას ჩვენება ჰქონდა მიცემული მიხეილ კალანდიას წინააღმდეგაც, რომლის ბრალეულობა პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამაც გამოკვეთა. „ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებული დასკვნის ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ კალანდიას წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება იყო. შსს-მ მიხეილ კალანდია 2019 წლის 4 ივნისს დააკავა. მას ბრალად დაედო დავით სარალიძის ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებაში მკვლევლობა. კალანდიას ოჯახმა და მისმა დამცველმა ჯანაშიასთან საპროცესო შეთანხმების დადება სწორედ ამ ფაქტს დაუკავშირეს. მათი განცხადებით, ჯანაშიას შეთანხმება წნეხის ქვეშ, იძულებით დაადებინეს<sup>126</sup>.

ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის და ლევან დადუნაშვილის მკვლევლობისთვის მსჯავრდებულ გიორგი ჯანაშიას და გუგა ბარბაქაძის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2020 წლის 28 იანვარს გამოაცხადა. გიორგი ჯანაშიას 11 წლითა და 3 თვით მისჯილი პატიმრობიდან, საბოლოოდ, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, საიდანაც 4 წელს პენიტენციურ დაწესებულებაში მოიხდის, დანარჩენი 4 წელი კი პირობითად ჩაეთვლება. მისჯილი წლებიდან ჯანაშიას 2 წელი უკვე მოხდილი აქვს. ამიტომ ის პენიტენციურ დაწესებულებას 2021 წელს დატოვებს. რაც შეეხება ლევან დადუნაშვილის მკვლევლობაში მსჯავრდებულ გუგა ბარბაქაძეს, უზენაესმა სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა და ის მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლევლობაში სცნო დამნაშავედ. ბარბაქაძეს სასჯელიც უცვლელი დარჩა. მას 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული<sup>127</sup>.

## მიხეილ კალანდიას ეპიზოდი

მიხეილ კალანდია ხორავას ქუჩაზე მომხდარი ჩხუბის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი იყო. თვეების განმავლობაში, იგი საქმეში მოწმის სტატუსით ფიგურირებდა, რასაც ზაზა სარალიძე და ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად აპროტესტებდა.

საქმეში კალანდიას ბიძის - მირზა სუბელიანისა და სხვა პირთა გამოჩენით, მტკიცებულებათა განადგურების, მოწმეებზე ზეგავლენითა და სხვა უკანონო ქმედებებით, დიდხანს უგულვებელყოფილი რჩებოდა დაზარალებულის და მისი წარმომადგენლის მოთხოვნა გამოძიების სრულყოფილად წარმართვაზე.

მრავალათასიანი და პერმამენტული საპროტესტო აქციების შედეგად შექმნილმა პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, კალანდიას შესაძლო ბრალეულობაზე თავის დასკვნაში ღიად დაწერა. კომისიის დასკვნით, საგამოძიებო უწყებებმა სათანადოდ არ გამოიძიეს სარალიძე-დადუნაშვილის მკვლევლობის საქმეში მიხეილ კალანდიას როლი და არ ჩაატარეს საჭირო საგამოძიებო მოქმედებები სიმართლის დასადგენად. დროებითი საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია სწორედ კალანდიას დაკავება იყო.

<sup>126</sup> **იხ. ვრცლად:** <https://bit.ly/3fAWojR>

<sup>127</sup> **იხ. ვრცლად:** <https://bit.ly/3bygFUM>

2018 წლის ივნისში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცა მიხეილ კალანდიას ბიძა - მირზა სუბელიანიც, რომელიც საკუთარი გავლენების გამოყენებით მფარველობდა და ხელს აფარებდა მიხეილ კალანდიას.

საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებისა და დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვის შემდეგ, შსს იძულებული გახდა, შესაბამისი ზომები მიეღო. მართლაც, მიხეილ კალანდია დავით სარალიძის ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ბრალდებით 2019 წლის 4 ივნისს დააკავა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე, იგივე საქმეზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა არაერთი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად ადასტურებს მიხეილ კალანდიას მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას.

საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მიხეილ კალანდიას ადვოკატის შუამდგომლობა, სხდომის ნაწილობრივ გახსნასთან დაკავშირებით და საქმის განხილვა ნაწილობრივ საჯარო გახდა. სხდომების საჯაროდ წარმართვას თავიდანვე ეთანხმებოდა დაზარალებული და მისი დამცველი ადვოკატი. დახურულ სასამართლო სხდომებზე წარიმართა უკვე მსჯავრდებულების - გუგა ბარბაქაძისა და გიორგი ჯანაშიას დაკითხვა.

საქმეს მტკიცებულებად დაერთო სოციალურ ქსელში მკვლელობამდე შექმნილი რამდენიმე ჩათის მიმოწერა, სადაც 33-ზე მეტი არასრულწლოვანი წევრია. მრავალტომიანი საქმე, სადაც არასრულწლოვნების საუბარია გაშიფრული, 2017 წლის დეკემბრამდე არსებულ ჩანაწერსაც შეიცავს, მაგრამ 1 დეკემბრის ჩანაწერი გამქრალია. ტექნიკურად, ფაილები არსებობს, მაგრამ მითითებულია, რომ შიგთავსი წაშლილია. ჩანაწერების გადმოცემის მოთხოვნით, ქართულმა მხარემ ამერიკის ფედერალური ბიუროს მხოლოდ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მუშაობის დროს მიმართა, როდესაც კომისიაზე მინისტრი გიორგი გახარია იმყოფებოდა და მას კითხვები დაუსვს ჩანაწერების გამოთხოვასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს, მიხეილ კალანდიას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, მაგრამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, სასჯელი ერთი მეოთხედით შემცირდა და საბოლოოდ, სასჯელის სახედ 11 წელი და სამი თვე განესაზღვრა.

სასამართლოს გადაწყვეტილება ემთხვევა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ფარგლებში მომზადებულ დასკვნას და ასევე - დაზარალებულ ზაზა სარალიძისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის პოზიციას, მიხეილ კალანდიას უშუალოდ ამსრულებლობასთან დაკავშირებით.

## სახელმწიფოს უმოქმედობა სამოხელეო დანაშაულების მიმართ

სამოხელეო დანაშაულების თაობაზე მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას ადამიანის უფლებათა ცენტრი და მისი დაცვის ქვეშ მყოფი დაზარალებული. 2018 წლის 31 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილმა განაჩენმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო გამოძიების სრულყოფილად წარმართვა და ყველა დამნაშავის გამოვლენა. საქმის მასალების შესწავლით და საპარლამენტო კომისიის დასკვნით დასტურდება, რომ გამოძიება სხვადასხვა მიმართულებით არაეფექტური იყო და ჰქონდა არაერთი ხარვეზი.

საინტერესოა საპარლამენტო კომისიის მიერ პროკურორთა და გამომძიებელთა დაკითხვის შედარება საქმეში წარმოდგენილ მასალებთან. დაგვიანებით ჩატარებული ან საერთოდ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებები აღრმავებს ეჭვებს, რომ გამოძიება თავიდანვე არ იყო მიმართული დანაშაულის გამოსავლენად. ეს მოსაზრება გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელმაც 2018 წლის ანგარიშში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ღიად აღნიშნა სამოხელეო დანაშაულის შესაძლო ნიშნების აშკარა არსებობისა და ამ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირების დეფიციტზე.

სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგებით გამოიკვეთა, რომ სახეზე იყო სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთი ან ორივე შემადგენლობა: *სამსახურებრივი გულგრილობა, ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება*, იმის მიხედვით, სუბიექტური მხარის რა ნიშნები იკვეთება ქმედებათა უკან – განზრახ არაეფექტიანი გამოძიება თუ გაუფრთხილებლობა, არაპროფესიონალური მიდგომა ან/და ზერელე დამოკიდებულება დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესასრულებლად. სახალხო დამცველის რეკომენდაცია იყო, ამ მიმართებით გამოძიების დაწყება<sup>128</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ზაზა სარალიძის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, პროკურატურამ საქმის წარმოების არცერთ ეტაპზე არ გააფართოვა გამოძიების სუბიექტთა წრე და გამოძიებისას არსებული გადაცდომებისთვის არ მომხდარა არც ერთი პირის პასუხისგებაში მიცემა. პროკურატურამ, ასევე, უგულვებელყო სახალხო დამცველის რეკომენდაციები და გამოძიებაში დაშვებულ არსებით შეცდომებზე მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო, რამდენადაც აღნიშნული ხარვეზები, მიუხედავად მათი შედეგებისა, არ მიიჩნია დანაშაულად.

2018 წლის 1 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გაავრცელა განცხადება სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საზოგადოებისთვის, ხოლო საქმის მასალების – სახალხო დამცველის აპარატისთვის გაცნობის მოთხოვნით, მაგრამ ეს რეკომენდაცია, ასევე, არ გაუთვალისწინებია პროკურატურას. ამ საქმის პოლიტიკებისა და პროკურატურის მიკერძოების თაობაზე ეჭვს ამყარებს ამ უწყების არაერთგვაროვანი მიდგომა სხვა მსგავს საქმეებთან მიმართებით. სხვა საქმეებში, სადაც პირის სიცოცხლის მოსპობაზე დაწყებული გამოძიება არაეფექტურად წარიმართა, პროკურატურამ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე გამოძიება დაიწყო<sup>129</sup>. ერთ-ერთ ასეთ საქმეს წარმოადგენს „ჟანა ძებნიაური საქართველოს წინააღმდეგ“. იგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინებით, სასამართლოს განსახილველი საქმეებიდან ამოირიცხა. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშიდან ირკვევა, განჩინების თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის წარდგენილ დეკლარაციაში მითითებულია, რომ მთავრობა, სხვა გარემოებებთან ერთად, ითვალისწინებს გიორგი ძებნიას სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე გამოძიების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს და აღიარებს, რომ სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი<sup>130</sup>.

<sup>128</sup> იხ. 2018 წლის 11 ივლისს სახალხო დამცველის მიერ პროკურატურის მიმართ გაგზავნილი №15-11/9172 წინადადება გამოძიების დაწყების მოთხოვნის შესახებ.

<sup>129</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი; გვ. 38.

<sup>130</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი; გვ. 38.

სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, რომ სამართალწარმოება გაგრძელდეს იმ პირთა გამოსავლენად, რომელთა ქმედებებშიც იკვეთება სამოხელეო დანაშაულის ნიშნები. სამართალწარმოების მიზანი არა მხოლოდ იმ სამართალდამცავთა თუ სხვა თანამდებობის პირთა დასჯაა, რომლებმაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გამოძიებას ხელი შეუშალეს საქმის ყოველმხრივ და ობიექტურად გამოძიებას, არამედ ამას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სისტემის გაჯანსაღებისათვის. ასეთი დანაშაულების დაუსჯელად დატოვების შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება იმ სისტემური ხარვეზების აღმოფხვრა, რაც შეუძლებელს ხდის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელად დაცვას. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს სრულყოფილად წარმართული გამოძიება, რაც სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს.

ამ ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფომ უზრუნველყოს გამოძიების დაწყება სამოხელეო დანაშაულების ნიშნების შემცველ ქმედებებზე, კერძოდ - საგამოძიებო უწყებების იმ თანამშრომლების მიმართ, რომელთა განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილმა საგარაუდო დანაშაულებრივმა ქმედებებმა განაპირობა ამ საქმის მტკიცებულებების განადგურება ან დაზიანება. ასევე, აუცილებელია, მოხდეს საზოგადოების დეტალური ინფორმირება სამოხელეო დანაშაულების მიმართ დაწყებული სამართალწარმოების შესახებ.

## დასკვნა

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაანახა საზოგადოებას იმ სისტემური პრობლემების სიმწვავე, რომელსაც უშუალო გავლენა აქვს თითოეულ ჩვენგანზე. სწორედ ამიტომ, ეს ინდივიდუალური ტრაგედია მთელი საზოგადოების ტკივილად იქცა და შვილმოკლული მამების ირგვლივ სხვადასხვა შეხედულების მქონე მრავალი ადამიანი გააერთიანა.

სიმაართლისათვის ბრძოლისას დაზარალებულისა და მისი ინტერესების დამცველი ორგანიზაციის - ადამიანის უფლებათა ცენტრის პრინციპული პოზიციისა და დაზარალებულის მხარდასაჭერად სამოქალაქო საზოგადოების არნახული კონსოლიდაციის შედეგად, თანამდებობა დატოვა მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ. სამწუხაროდ, ამავე დროს, ხელისუფლების მხრიდან მოვლენათა არაადეკვატური შეფასების შედეგია ის, რომ ორი წლის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრის პროტესტის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ირაკლი შოთაძე გენერალური პროკურორის თანამდებობაზე აირჩია<sup>131</sup>.

საზოგადოების მრავალათასიანი საპროტესტო აქციების შედეგად, მოზარდების მკვლელობის საქმის საგამოძიებო პროცესის შესწავლის მიზნით, საქართველოს პარლამენტში შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია. ამასთან, ვინაიდან პროკურატურაში კვლავ არსებობდა მიკერძოებული გამოძიების საფრთხე, საქმე საქართველოს მთავარი პროკურატურისგან ხელახალი გამოძიებისათვის გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>132</sup>.

ბრძოლის შედეგად, სახელმწიფოს მოუწია დანაშაულში და მის დაფარვაში მონაწილე არაერთი ადამიანის მხილება, რომელთა ნაწილი უკვე მიეცა

<sup>131</sup> იხ. ინფორმაცია ვრცლად: <http://ajaratv.ge/article/55587>

<sup>132</sup> იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/29262830.html>

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში. თავის მხრივ, ეს ასევე არის სისტემური პრობლემების აღიარება სახელმწიფოს მხრიდან, რომელთა მოგვარება მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმის გამოსწორებით ვერ მოხდება და აუცილებლად საჭიროა სისტემური ცვლილებები, რომელიც უნდა შეეხოს როგორც ქართულ საგამოძიებო უწყებათა დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის გაზრდას, ასევე ქართული მართლმსაჯულების რეალურ რეფორმას.

ამ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის გამოძიების თავდაპირველი შედეგები მნიშვნელოვნად შეიცვალა და რამდენიმე ადამიანის მიეცა პასუხისმგებლობაში, კვლავ დაუსჯელნი არიან სამოხელეო დანაშაულში მონაწილე პირები. შესაბამისად, სისტემაში რეალური ცვლილებების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გამოძიების სრულყოფილი წარმართვა, საზოგადოების დროული ინფორმირება და დამნაშავეთა დასჯა.